ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მაშული!

ერი და თავისუფლება

საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული ერთიანული პარტიის გაზეთი • №1 • ივნისი, 1990 წელი

ილია ჭავჭავაძე-

ქართული ლიბერალურ-

დემოკრატიული

ნაციონალიზმის მამამთავარი

გაზეთი „ერი და თავისუფლება“ - ქართული ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმის მესიტყვე

ასეთია ჩვენი გაზეთის, როგორც ლიბერალურ-დემოკრატიული ერთიანული პარტიის ორგანოს, უპირველესი დანიშნულება: იყოს მესიტყვე ქართული ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმისა, რომელიც ამ პარტიის იდეოლოგიაა, მისი მთელი მოღვაწეობის, მოაზრესიც და მოსაქმესიც, მაფუძნებელი და წარმმართველი, და რომლის საყოველთაო აღორძინებასა და დამკვიდრებას ქართველი ერის როგორც სულიერ, ასევე ნივთიერ ცხოვრებაში, ვითარცა თვით ამ ცხოვრების მაორგანიზებული და მარეგულირებელი " კონსტიტუციური იდეოლოგიისა ", ლდეპ თავის უმთავრეს მიზნად მიიჩნევს.

სწორედ ამან განაპირობა გაზეთის სახელწოდებაც -"ერი და თავისუფლება", როგორც იმის მაუწყებელი, რომ თავი-და-თავი ჩვენი ზრუნვისა, მისი თავი-მიზეზიცა და თავი-მიზანიც, არის ერი, სახელდობრ - ქართველი ერი, რაც ცხადყოფს კიდეც ჩვენს იდეოლოგიურ ვინაობას, როგორც მაინცა და მაინც ნაციონალისტებისა, სახელდობრ: ქართველი ნაციონალისტების; ხოლო, რამდენადაც ერზე /ისევე როგორც სხვა ვინმესა თუ რამეზე/ ზრუნვა სხვა არა არის რა, თუ არა ზრუნვა მის სიკეთეზე, - ამდენად, გვესახება რა ერის, მისი ადამიანობის, თავ-და-თავ / ზემოხსენებული აზრით / სიკეთედ თავისუფლება, რომლის გარეშეც ერი ვერ ერობს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ჩვენი ნაციონალისტური ზრუნვის უმთავრეს საგნად ირკვევა ერის თავისუფლება, ამ უკანასკნელის ლიბერალურ-დემოკრატიული გაგებით, და, შესაბამისად, ჩვენი ნაციონალიზმიც კონკრეტდება თავის თავშივე / ასე ვთქვათ, იმანენტურბუნებითად/, როგორც ნაციონალიზმი ლიბერალურ-დემოკრატიული. ამგვარად, გაზეთის სახელწოდება "ერი და თავისუფლება", ამცნობს რა მკითხველს რაობას ჩვენი პარტიის ზრუნვის საგნისა, იმავე დროს, თავისი სახელწოდებით, გამოხატავს ჩვენი პარტიის იმ იდეოლოგიურ პრინციპს, რომლის თანახმადაც ერზე ზრუნვა პირველ ყოვლისა მისი თავისუფლებაზე ზრუნვაა.

ლდეპ-ს მიაჩნია, რომ მას / ისევე როგორც ნებისმიერ სხვა პარტიას, ერთიანულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნიადაგზე მოქმედს/, გარდა საკუთვრივ პოლიტიკური ფუნქციისა, აღასრულებელი აქვს კულტურტრეგერული მისიაც, რამდენადაც პოლიტიკა კულტურის ერთ-ერთი დარგია და, როგორც ასეთი, მისი ერთ-ერთი სახე / ისევე როგორც, სხვათა შორის, ეკონომიკაც/. ქართველი ერის ისტორიული ბედი ისე მოეწყო, რომ საქართველოში მოქმედი პარტიები დღეს ისეთსავე მდგომარეობაში არიან, როგორშიც იყვნენ ქართული პარტიები ამ საუკუნის დასაწყისში: როგორც ვიცით, ეს უკანასკნელნი წმინდა პოლიტიკური საქმიანობის პარალელურად ეწეოდნენ სათანადო კულტურტრეგერულ მოღვაწეობასაც, რომლის მიზანიც ქართველი ხალხის პოლიტიკური კულტურის ამაღლება იყო არამარტო საკუთვრივ პოლიტიკურ, არამედ მისგან განუყოფელ სოციალურ-ეკონომიკურ, იურიდიულ და, საერთოდ, ზოგადჰუმანიტარულ იდეათა ერის რაც შეიძლება ფართო მასებში შეტანა-გავრცელების გზით. ხსენებულ პარტიათა ამგვარი მოღვაწეობა გაპირობებული იყო, ერთი მხრივ, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთ ლონისძიებათა გარეშე ფრიად გაძნელდებოდა /მეტი რომ არ ვთქვათ/ ერის " ალდგენა-გამოხსნის " საქმე და, მეორე მხრივ, იმის შეგნებით, რომ ჩვენი ხალხი, თავის დიდ უმრავლესობაში, ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ აღჭურვილი თავისთვის ესოდენ საჭირო მთელი ამ კულტურული ავლა-დიდებით. ის უდაო მიღწევები, რითაც აღინიშნა თავის დროზე ქართული პარტიების ეს საქმიანობა, სამწუხაროდ, ამჟამინდელი ქართველობის მ ა ს ო ბ რ ი ვ ი ცნობიერების კულტურულ აქტივს არ შეადგენს იმ ტრაგედიის გამო, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს ერს 1921 წლის თებერვალში და აქამდე გრძელდება. ამიტომაც დღეს ყველა პარტიის წინაშე კვლავაც დგას ძველი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ამოცანა, რომელიც ჩვენი ხალხის კ ულ ტ ურ ულ-პოლიტიკური დონის ამაღლებას გულისხმობს და რომელსაც ქართველი ერის ფ ს ი ქ ო - ი დ ე ო - ლ ო გ ი ურ აღორძინებას ვუწოდებდით. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი /და ჩვენი პარტიის შექმნაც ამ რწმენამ განაპირობა/, რომ ეს ზოგადკულტურული აღორძინება ერისა სწორედ ქ ა რ თ ულ ი ლ ი ბ ე რ ა ლ ურ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ულ ი ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი ს საფუძველზე შეიძლება /ხოლო ამდენად უ ნ დ ა კიდეც/ მოხდეს, ე.ი. სწორედ იმ იდეოლოგიისა, რომელიც არსებითად საზღვრავდა, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, ქართველობის მთელ კულტურულ - ისტორიულ ევოლუციას ქვეყნის "გასაბჭოების" ეპოქამდე. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ გაკვრით, რომ თვით ქართული სოციალ-დემოკრატიაც, რაგინდ უცნაურადაც მოეჩვენოს ეს ვისმე, სხვა არაფერია სინამდვილეში, თუ არა ამ იდეოლოგიის "უ ძ ღ ებ ი შ ვ ი ღ ", რომელზეც სხვა დროს გვექნება ცალკე საუბარი და მაშინ შევეცდებით ამ"მეტაფორის" განმარტებასაც.

ამიტომაც, ვუსახავთ რა გაზეთს მის უპირველეს დანიშნულებად, გააცნოს და განუმარტოს მკითხველს ჩვენი პარტიის იდეოლოგია, რედაქციას განზრახული აქვს, რეგულარულად გამოაქვეყნოს სპეციალური წერილები, სადაც წარმოჩენილი იქნება ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმის რაობა, მისი თეორიულ-ფილოსოფიური, ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური, იურიდიული და, რა თქმა უნდა, საკუთვრივ პოლიტიკური ასპექტები. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ამ ჩვენი განზრახვის შესრულებას ვუდგებით გაზეთის პირველივე ნომრიდანვე, სადაც ვაქვეყნებთ პარტიის საპროგრამო-იდეოლოგიური ხასიათის დოკუმენტს /"დეკლარაციის"სახით/ და, ამის გარდა, აქვე ვიწყებთ მიხეილ /მიხაკო/ წერეთლის, ილია ჭავჭავაძის სკოლის უთუოდ ყველაზე შესანიშნავი წარმომადგენლის, ნაშრომის ბეჭდვას, ნაშრომისა, რომელიც ნაციონალიზმის იდეისადმია მიძღვნილი, ჩვენ საჭიროდ ვცნობთ, მცირე განმარტება მივცეთ ტერმინ "ნაციონალიზმს".

საბჭოთა პროპაგანდის ზეგავლენით არამარტო ხალხის ფართო ფენებში, არამედ ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორისაც გავრცელებულია აზრი, თითქოს ნაციონალიზმი ანტიჰუმანური პრინციპი იყოს, შინაგანად უარმყოფელი ინტერნაციონალიზმისა და, როგორც ასეთი, ერთა შორის შუღლისა და მტრობის მთესველი. ამ შეხედულების მქონენი ერთმანეთს უპირისპირებენ პატრიოტიზმსა და ნაციონალიზმს /თითქოს " პატრია " - მამულსა და "ნაცია" - ერს შორის რაიმე შეუთავსებლობა არსებობდეს /, აიგივებენ რა ამ უკანასკნელს ქსენოფობიასთან, შოვინიზმთან, იმპერიალიზმთან და, ბოლოს, ფაშიზმთანაც კი. რა თქმა უნდა, იმათ, ვინც ნაციონალიზმში ფაშიზმს ხედავს, მიახლოებითი წარმოდგენაც არა აქვთ არც ერთზე და არც, ცხადია, მეორეზე. ეს ადამიანები თავისდაუნებურად ერთგვარნი "იდეოლოგიურნი მსხვერპლნი" ზემოხსენებული პროპაგანდისა /რომელსაც, ვიტყვით აქვე, ფრიად "ნაციონალისტური", უფრო ზუსტად კი - იმპერიალისტური, მიზნები ასულდგმულებთ/, სიტყვა "ფაშიზმის " ასეთი "ჟარგონული" ხმარებით გვახსენებენ იმ დროს, როდესაც ყველა ხელოვანს, ვინც კი ე.წ. "სოციალისტური რეალიზმის" მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა, "ბურჟუაზიულ დეკადენტად" ნათლავდნენ. ამ თემაზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ იმათ, ვისაც სურს გაიგოს, თუ სად ძევს , სინამდვილეში, ბოროტების ძირი გერმანული ნაციონალ-სოციალიზმისა /ისევე როგორც იტალიური ფაშიზმის თუ რუსული ბოლშევიზმის/, ბევრს მისცემს ცნობილი სოციოლოგ-ეკონომისტის ფრიდ-

(გაგრძ. მე-2 გვ.)

გაზეთი „ერი და თავისუფლება“ - ქართული ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმის მესიტყვე

რიხ ფონ ჰაიეკის კლასიკური წიგნი "გზა მონობისაკენ", სადაც, სხვათა შორის, მკითხველის ყურადღებას უთუოდ მიიპყრობს "ფაშიზმის" საკითხებში ისეთი ავტორიტეტული პირის, როგორიც ადოლფ ჰიტლერი იყო, განცხადება, რომ "თავის საფუძველში ნაციონალ- სოციალიზმი და მარქსიზმი ერთი და იგივეა".

ხოლო,რაც შეეხება თვითონ ნაციონალიზმს, მის მიმართებაში ინტერნაციონალიზმთან, კოსმოპოლიტიზმთან და იმპერიალიზმთან, აი რას წერს მის შესახებ გამოჩენილი ეკონომისტ-სოციოლოგი ლიბერალური მიმართულებისა ჯონ ა. ჰოფსონი თავის საქვეყნოდ განთქმულ "იმპერიალიზმ"-ში:

"ნამდვილი თანმიმდევრული ინტერნაციონალიზმი, თავისი შინაგანი ფორმითა და შინაგანი სულით, გულისხმობს მძლავრ და თავისი ღირსების შემგნებ ეროვნებათა არსებობას, რომლებიც ისწრაფვიან გაერთიანებისაკენ საერთო საჭიროებათა და ინტერესთა საფუძველზე. ისტორიული განვითარება ამ მიმართულებით გაცილებით მეტად ესატყვისება სოციალური პროგრესის კანონებს, ვიდრე განვითარება ანარქიული კოსმოპოლიტიზმისა, ინდივიდუალურ ერთეულთა გამაერთიანებლის, მაგრამ ეროვნული ცხოვრების დამანგრეველის".

ეროვნების განმტკიცება - ეს პირდაპირი გზაა ინტერნაციონალიზმისაკენ და, თუკი მათ შორის თავს იჩენს დაშორება, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ შერყვნა ხდება ერის ბუნებისა და ინტერესების. ეროვნული გრძნობის ასეთ მერყეობას წარმოადგენს იმპერიალიზმი . მისი წყალობით ერები აბიჯებენ ბუნებრივი ურთიერთმოქმედების საზღვრებს და სხვადასხვა ეროვნული ტიპების შემოქმედებას მტრულ იმპერიათა სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილად აქცევენ. სწორედ ამ გადაბიჯებაში "ერის ბუნებრივი საზღვრებისა" ხედავს ჰოფსონი "ჭეშმარიტი ნაციონალიზმის" პრინციპის იმ დარღვევას, რომლითაც "აღინიშნება ეროვნული თვითგამორკვევის გადაცემა ბინძურ კოლონიურ პოლიტიკაზე, ერთი მხრივ, და იმპერიალიზმზე, მეორე მხრივ". მაგრამ დავანებოთ თავი უცხოელ ავტორებს, მათ კიდევ ბევრჯერ მივმართავთ ხოლმე მომავალში, და გადავხედოთ ჩვენს ლიდერებს.

ვინ იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე,გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, სერგი მესხი, ივანე მაჩაბელი, აღექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა ფშაველა?.. ვინ იყვნენ არჩილ ჯორჯაძე, მიხეილ წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე, დიმიტრი უზნაძე, ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, გალაკტიონ ტაბიძე, დავით კაკაბაძე?..ყველა უკლებრივ - ნაციონალისტები. მიუხედავად "ფრაქციული" სხვადასხვაობისა, რომელიც, ბუნებრივია, ამ მოღვაწეთა შორის არსებობდა, ერთი რამ არსებითად ნიშნეულია ყველა მათგანისათვის, და ეს არსებითი, მათი იდეოლოგიური ვინაობის პრინციპულად განმსაზღვრელი, არის ნაციონალიზმი, რომელიც ჩვენში, რა თქმა უნდა, მანამდეც არსებობდა, მაგრამ რომლის ლიბერალურ-დემოკრატიული მიმდინარეობაც გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იღებს სათავეს, როდესაც სარბიელზე გამოდის ილია ჭავჭავაძე - ქ ა რ თ უ ლ ი ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ-დ ე მ ო კ რ ა - ტ ი უ ლ ი ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ - ი ს მამამთავარი. სწორედ ილია ჭავჭავაძიდან იწყება ნაციონალიზმის მეცნიერულ-ფილოსოფიური გააზრება ჩვენში, რომელიც თავის შემდგომ თეორიულ /სოციოლოგიური თუ ფილოსოფიური თვალსაზრისით/ განვითარებას ჰპოვებს ისეთ ავტორთა შემოქმედებაში, როგორიც იყვნენ არჩილ ჯორჯაძე, მიხეილ წერეთელი, გრიგოლ რობაძიძე, დიმიტრი უზნაძე, აღექსანდრე ჯანელიძე, სერგი დანელია და სხვ. აი, რას ამბობს ერთი ამ ავტორთაგანი თავის წერილში , რომლის სათაურიცაა "ნაციონალიზმი და სოციალიზმი":

"ინტერნაციონალისტური სულისკვეთება მხოლოდ მანამდე არის შესაძლებელი , სანამ ეს ნაციონალური ერთეულის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება; მაგრამ როგორც კი იჩენს თავს ასეთი წინააღმდეგობა, იმ წამსვე ინტერნაციონალური ანაზდად ჰქრება და სინამდვილის სარბიელზე განუყოფლად იწყებს ბატონობას ნაციონალური...

მართლაც, ვინ ჰქმნის, ვინ ამოძრავებს საკაცობრიო კულტურის წინსვლას? ჩვენ არ ვიცით არცერთი სახელმწიფოებრივი ფორმა, რომელიც მთელ კაცობრიობას შეექმნას, არცერთი სოციალური და ეკონომიკური წყობილების სახე,არცერთი სამეცნიერო ან ფილოსოფიური სისტემა, არცერთი ლიტერატურული მიმდინარეობა, არცერთი ხელოვნური ქმნილება; ერთი სიტყვით, არცერთი კულტურული განვითარების ფორმა არ ვიცით ჩვენ, რომ იგი კაცობრიობის შემოქმედების ნაყოფი იყოს... პირიქით, ჩვენ ყველგან პიროვნებას ვხვდებით, რომელიც თავისი ერის სულიერი ცხოვრების საფუძველზე ჰქმნის და მოქმედებს და რომელიც ამიტომ უფრო განსახიერება არის ერის თავისებურებისა,ვიდრე თავისი პირადი. განსაკუთრებულობისა:რაგინდ დიდი არ უნდა იყოს პიროვნება მისი შემონაქმედი მხოლოდ იმ შემთხვევაში რჩება და გავლენას სტოვებს , როდესაც იგი ერის ცხოვრების მოთხოვნილებებს შეეფერება და ერის უმრავლესობის ცნობიერებისათვის მისაღები და გასაგებია.

ამ თვალსაზრისით, მთელი კულტურული ცხოვრება ერის შემონაქმედია.ერი ერთადერთი ორგანოა კულტურული ცხოვრების შემოქმედებისა, იგი ერთადერთი სუბიეკტია კულტურული განვითარებისა".

ეს სიტყვები ეკუთვნის დიმიტრი უზნაძეს, რომელიც,როგორც ვხედავთ, ერს მიიჩნევს კულტურისა და ისტორიის ერთადერთ ნამდვილ სუბიექტად და,ამგვარად, იძლევა ნაციონალიზმის, როგორც კულტურულ-ისტორიული იდეის, შესაბამისად კულტურ- და ისტორიოსოფიურ დაფუძნებას.

ჩვენი სახელოვანი წინაპრები,ზემოხსენებულნი და აგრეთვე სხვებიც,ვინც არ დაგვისახელებია,თავის თავს ნაციონალისტებად მიიჩნევდნენ და ამაყად ატარებდნენ "ნაციონალისტის" სახელს. ამიტომაც ჩვენც, თუკი ვცნობთ ჩვენს თავს მათ ღირსეულ მემკვიდრეებად, არ უნდა დავუთმოთ ეს ძვირფასი სახელი საბჭოურ პროპაგანდას და, სხვათა შორის, დასავლურ იაფფასიან პუბლიცისტიკასაც, დაშინებულს სიტყვა "ნაციონალიზმით", აქაო და ნაციონალ-სოციალიზმი ნაციონალიზმის დროშის ქვეშ გამოდიოდაო /თითქოს ეს დროშა სოციალიზმისაც არ ყოფილიყოს/; მითუმეტეს, რომ "ნაციონალიზმს" ვერ შეცვლის"პატრიოტიზმი",რომელიც არსებითად ზნეორივი გრძნობის აღმნიშვნელია, მაშინ როდესაც "ნაციონალიზმი" ფილოსოფიურ-იდეოლოგიური ტერმინია,სათანადო კონცეპტუალური შინაარსის მქონე..მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს გაზეთს, მის ამოცანებს.

რა თქმა უნდა, ჩვენი გაზეთი მარტო იდეოლოგიური პრინციპების პროპაგანდით ვერ შემოიფარგლება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იქნებოდა არა პოლიტიკურად ქმედითი პარტიის არამედ რომელიღაც აკადემიური ჯგუფის ორგანო. სპეციფიკური ნიშანი პოლიტიკური პარტიისა კონკრეტული ცხოვრებისეული პ რ ო გ რ ა მ ა ა, რომლითაც გამოდის პარტია ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე, როგორც მატარებელი, ამ პროგრამის სახით,თვით ამ ცხოვრებაში სარეალიზაციო პრაქტიკული იდეებისა. ამიტომაც პარტიის საპროგრამო პრინციპების განმარტება, მათი გავრცელება ერის მასაში ჩვენი გაზეთის კიდევ ერთ საგანგებო დანიშნულებას შეადგენს.

ხოლო ცხადია ისიც, რომ პროგრამა, თავისი წმინდა იდეური ასპექტით გამომხატველი განსაზღვრული იდეოლოგიისა, უნდა იძლეოდეს გარკვეულ პასუხს იმ პრობლემებზე, რომლებსაც ადგილი აქვთ ერის ცხოვრებაში. აქედან -ჩვენი ორგანოს წმინდა "საგაზეთო" დანიშნულებაც, მოგვცეს ქვეყნის პოლიტიკური /და მისგან განუყოფელი: სოციალური, ეკონომიკური, უფლებრივი და ა.შ./ ვითარების რეალურ-ანალიტიკური სურათი, რომელმაც ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფაქტები და პრობლემები უნდა გააშუქოს სათანადო ობიექტურობითა და პრინციპულობით. ამასთან, ბუნებრივია, თვითონ გ ა ბ ე ბ ა ცხოვრების ცალკეულ მოვლენათა და საკითხთა განსაზღვრული იქნება იმ თეორიულ-ფილოსოფიური თვალთახედვით, რომელიც შეადგენს ჩვენი იდეოლოგიის ზოგადთეორიულ შინაარსს.

ამგვარად, გაზეთის საგნობრივი წრე ძირითადად სამი ელემენტით ისაზღვრება, როგორიცაა: პარტიის ი დ ე ო - ლ ო გ ი ა, პარტიის პ რ ო გ რ ა მ ა და თვითონ ც ხ ო ვ რ ე ბ ა ერისა,მისი ფაქტობრივი ვითარება შესაბამისი პრობლემატიკითურთ. გაზეთმა, კრიტიკულმა მეთვალყურემ ქვეყნის ცხოვრებისა,მკითხველს უნდა მიაწოდოს, რამდენადაც მას ამაზე ხელი მიუწვდება , ზუსტი ინფორმაცია და ამ ინფორმაციის საფუძველზე შემუშავებული თავისი საკუთარი თვალსაზრისი. გასაგებია,ჩვენი გაზეთი ჯეროვან ყურადღებას დაუთმობს საქართველოს ფარგლებსგარეთ მიმდინარე იმ პროცესებსაც, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნისათვის. აქ მხედველობაში გვაქვს როგორც სსრკ-ში მიმდინარე პროცესები, ასევე ის პროცესებიც, რომლებიც მიმდინარეობენ საერთოდ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი მოწინავე დემოკრატიულ ქვეყნებში. ცხადია, გაზეთის ინტერესი ამ მიმართულებით განსაზღვრული იქნება ისევ და ისევ ჩვენი ქვეყნის რეალური საჭიროებებით.

თუ რამდენად შეძლებს ამ საქმის გაძღოლას გაზეთი, ეს დამოკიდებული იქნება არამარტო გაზეთის თანამშრომელთა უნარიანობაზე, არამედ იმ ობიექტურ პირობებზეც, რომლებიც ჩვენს ნებას არ ექვემდებარებიან.მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი წარმატება /თუ წარუმატებლობა/ ამ გზაზე, ყოველ შემთხვევაში ერთს მაინც გულდაჯერებით შევპირდებით მკითხველს:

გაზეთი "ერი და თავისუფლება" ერთგული იქნება თავისი უზენაესი მიზნისა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ქართველი ერის დახსნა რუსული " ხალხთა საპყრობილი "-დან და ს უ ვ ე - რ ე ნ უ ლ ი /ამ სიტყვის უპირობო მნიშვნელობით/ ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ - დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ს ა ქ ა - რ თ ვ ე ლ ო ს ა ღ ო რ ძ ი ნ ე ბ ა.

საპარლამენტო ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის დოკუმენტები

ლდეპ-ის დამფუძნებელი კრების რეზოლუცია

1990 წლის 20 მარტს, თბილისში, შედგა ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის (ლდეპ) დამფუძნებელი კრება, რომელმაც:

1. მიიღო გადაწყვეტილება ლდეპ დაფუძნების შესახებ;
2. დაამტკიცა ლდეპ შემადგენლობა;
3. განიხილა და მიიღო პარტიის წესდება;
4. აირჩია პარტიის გამგეობა (თავმჯდომარე მიხეილ ნანეიშვილი) და სარევიზიო კომისია;
5. დაავალა გამგეობას მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება პარტიის I ყრილობის მოსაწვევად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლდეპ-ის

დეკლარაცია

1990 წლის 20 მარტს თბილისში შედგა ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის დამფუძნებელი კრება, რომელიც მოიწვია საქართველოს სახალხო ფრონტის ფრაქციის - ეროვნულ-ლიბერალური კავშირის წევრთა ერთი ნაწილისაგან ჩამოყალიბებულმა საინიციატივო ჯგუფმა. კრებამ, რომლის მუშაობაშიც, ამ ჯგუფის გარდა, მონაწილეობა მიიღეს სხვა დაინტერესებულმა პირებმაც, მას შემდეგ, რაც მოისმინა მოხსენება მომავალი პარტიის საპროგრამო და საორგანიზაციო პრინციპებზე / აგრეთვე სხვა საკითხებზეც/ და განიხილა მისი წესდების პროექტი, ერთხმად გამოიტანა დადგენილება ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის /ლდეპ/დაარსების შესახებ, რაც დადასტურებულ იქნა კიდეც საათანადო რეზოლუციის მიღებით.

დამფუძნებელი კრების მუშაობის ბოლო საფეხური შეადგინა ახლად დაარსებულ პარტიაში შესვლის მსურველთა გაწევრიანებამ, რის შემდეგაც დაიწყო პარტიის საერთო კრება, რომელმაც დაამტკიცა პარტიის წესდება და აირჩია მისი გამგეობა.

კრებამ დაავალა გამგეობას მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება ლდეპ-ის I **ყრილობის** მოსაწვევად, რომლის ფუნქციასაც, როგორც პარტიის უმაღლესი ორგანოსი, მანამდე შეასრულებს პარტიის საერთო კრება.

კრების დამთავრების შემდეგ შედგა გამგეობის სხდომა, რომელზეც ლდეპ-ის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **მიხეილ ნანეიშვილი.**

რამდენადაც ლდეპ-ის პროგრამაზე მხოლოდ ახლახან დაიწყო მუშაობა, ვისაც სურს, ახლავე შეიქმნას ერთგვარი წარმოდგენა ამ პარტიის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ვინაობაზე, მას შეუძლია მიმართოს "ეროვნულ-ლიბერალური კავშირის დეკლარაციას" /იხ.გაზ."საქართველო", № 2, 1990 წ./, რომელშიც /მართალია, მეტად ფრაგმენტულად და აბსტრაქტულად, მაგრამ მაინც/ განცხადებულ იდეოლოგიურ პრინციპებს, აბსოლუტურად იზიარებს, სიტყვა სიტყვით, ჩვენი პარტია და რომელიც, ამდენად, რჩება კიდევაც ამ უკანასკნელის ერთ საპროგრამო დოკუმენტად. ამასთან დაკავშირებით, მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ახალი სახელწოდება პარტიისა, განსხვავებით ზემოხსენებული ფრაქციის სახელწოდებისაგან, უფრო ზუსტად და სრულად გამოხატავს იმ პოლიტიკურ- იდეოლოგიურ მიმართულებას, რომელიც ცალსახადაა განსაზღვრული იმავე "დეკლარაცია"-ში, სადაც პირდაპირ ნათქვამია, რომ "ჩვენი იდეოლოგია ისაზღვრება როგორც ნაციონალიზმი - ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულებისა" და სადაც აქვე დადასტურებულია შესაბამისი იდეაღიც - "ლიბერალურ-დემოკრატიული საქართველო". ახლა - ერთი განმარტება ჩვენი პარტიის სახელის საზრისობრივ აღნაგობაზე.

სახელწოდებაში "ლიბერალურ- დემოკრატიული ეროვნული პარტია" სიტყვა "პარტიის" უშუალო მსაზღვრელად აღებულია "ეროვნული", რამდენადაც იგულისხმება, რომ ხსენებული პარტია პირველყოვლისა არის პარტია ნაციონალისტური /ამ აზრით "ეროვნული"/, ხოლო მომდევნო რიგის მსაზღვრელად / უკვე არა ზოგადად "პარტიის", არამედ მაიცდამაინც "ეროვნული პარტიისა"/ აღებულია "ლიბერალურ-დემოკრატიული", რამდენადაც იგულისხმება, რომ ეს პარტია თავისი წმინდაეროვნული პრინციპის ადექვატურ ზოგადჰუმანიტარულ პრინციპად, რომელიც უნდა განახორციელოს ერმა, როგორც პრინციპი თავისი ადამიანობისა, მიიჩნევს ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპს, ერისთვის სახელმძღვანელოს მის როგორც ინტრანაციონალურ, ასევე ინტერნაციონალურ საეროვნო ცხოვრებაში. კერძოდ, ვლაპარაკობთ რა "ერის ადამიანობა"-ზე ჩვენ ვგულისხმობთ, რომ **ქართველი** ერის კონკრეტულ-**ინდივიდუალურ** შემთხვევაში იგი სხვა არაფერია, თუ არა **ქართველობა** - ქართველი ერის, როგორც **პერსონა** საზოგადოების, **პერსონალური ადამიანობა,** ანუ ადამიანობა - რომლის მახასიათებელ - **მაპიროვნებელიც,** თანახმად თავისი კაცობრივი ინდივიდუალობისა, **პირადად** ეს ერია. და ჩვენც, ადამიანობის, როგორც კულტურულ-ისტორიული ყოფიერების, სწორედ ამ ეროვნულ-პიროვნული გაგებით / რამდენადაც ადამიანის **კულტურულ-ისტორიული** პიროვნება მისი ეროვნებაა/, მიგვაჩნია, რომ ჩვენმა /ისევე როგორც ნებისმიერმა სხვა / ერმა,- თუკი მას სურს, რომ მართლაც **ერი** იყოს, ე.ი. ისტორიისა და კულტურის სრულფასოვანი შემოქმედ-სუბიექტი /თანამედროვე ცივილიზაციის მიღწევათა და მოთხოვნათა შესატყვისად/,- თავისი მთელი **საეროვნო** ცხოვრება /ცხოვრება - ადამიანობა, რომელიც ამ შემთხვევაში ქართველობაა/ უნდა ააგოს ლიბერალიზმისა და დემოკრატიზმის ურთიერთშემავსებელ საწყისებზე, როგორიცაა, სახელდობრ: ლიბერალიზმი - დემოკრატიული / დემოკრატიული ლიბერალიზმი/ და დემოკრატიზმი - ლიბერალური /ლიბერალური დემოკრატიზმი/. და ბოლოს: ხედავს რა სსფ-ს მოწოდებას, მისი რაობის თანახმად, იყოს ქვეყნის ეროვნულ-განმა - თავისუფლებელი მოძრაობის მაკონსოლიდირებელი საერთოსახალხო ზეპარტიული გაერთიანება, ლდეპ უცხადებს სოლიდარობას ამ ორგანიზაციას, რაც თავის პრაქტიკულ გამოხატულებას პოვებს იმაში, რომ პარტია ნებას რთავს თავის წევრებს, შევიდნენ ფრონტის რიგებში ინდივიდუალური წესით, ოღონდ იმ პირობით, რომ ისინი თავის საქმიანობას ფრონტში წარმართავენ პარტიული დისციპლინის დაურღვევლად.

რაც შეეხება საქართველოს სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებსა თუ პოლიტიკურ პარტიებს, ლდეპ მზადაა თითოეულ მათგანთან აწარმოოს კონსტრუქციული დიალოგი ურთიერთპატივისცემისა და სრული პარიტეტის საფუძველზე, იმის შეგნებით, რომ აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე არავის აქვს მონოპოლია და რომ ჭეშმარიტება კამათში იბადება,- კამათში /და არა დავაში/, რომლის ერთადერთი მასულდგმულებელიც საქვეყნო სიკეთეა, ასეთი რამ კი მხოლოდ **ჭეშმარიტება** შეიძლება იყოს.

ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის გამგეობა: მ.ნანეიშვილი (თავმჯდომარე), გ.ბეგიაშვილი, ი.გეგენავა, ვ.გოცირიძე, გ.დოლიძე, ვ. ლაკიაშვილი, თ. ხოფერია

1947 წლის აპრილს, ოქსფორდში (უელების კოლეჯი), საერთაშორისო ლიბერალურ კონფერენციაზე მიღებული

ლიბერალური მანიფესტი

ჩვენ, 19 ქვეყნის ლიბერალები, შევიკრიბეთ რა ოქსფორდს მეორე მსოფლიო ომის მიერ გამოწვეული ანარქიის, სიღარიბის, შიმშილისა და შიშის ჟამს;
დარწმუნებულნი, რომ ამგვარი ვითარება მსოფლიოში დიდად არის განპირობებული ლიბერალური პრინციპების დავიწყებით;
გამოვხატავთ ჩვენს მრწამსს ამ დეკლარაციით.

I

1. ადამიანი უპირველესი და უმაღლესი ქმნილებაა, რომელსაც ძალუძს დამოუკიდებლად აზროვნება და მოქმედება და შესწევს ბოროტებისაგან სიკეთის გარჩევის უნარი;

2. საზოგადოების ჭეშმარიტ საფუძველს პიროვნებისა და ოჯახის პატივისცემა განსაზღვრავს;

3. სახელმწიფო საზოგადოებისათვის მხოლოდ ინსტრუმენტია; მისმა ძალაუფლებამ არ უნდა ხელყოს მოქალაქეთა ფუნდამენტალური უფლებები და სასარგებლო და შემოქმედებითი ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობები, კერძოდ:

პირადი თავისუფლება, რომლის გარანტია არის კანონისა და სამართლის უზრუნველყოფის დამოუკიდებლობა;
რწმენისა და თავისუფლების და სინდისის პატივისცემა;
სიტყვისა და პრესის თავისუფლება;
გაერთიანებისა თუ მიუმხრობლობის თავისუფლება;
შრომითი საქმიანობის არჩევის თავისუფლება;
სრულყოფილი და მრავალმხრივი განათლების შესაძლებლობა უნარის შესაბამისად და წარმოშობისა თუ ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად;
კერძო საკუთრების ფლობისა და ინდივიდუალური საქმიანობის უფლება;
მომხმარებლის უფლება თავისუფლად აირჩიოს და მთელი სისავსით გამოიყენოს ყოველივე ის, რასაც მიწა იძლევა და ადამიანი ქმნის;
სოციალური უზრუნველყოფობა ავადმყოფობის, უმუშევრობის, უუნარობისა და ხანდაზმულობის დროს;
ქალისა და კაცის უფლებათა თანასწორობა.

4. ამ უფლებებსა და პირობებს უზრუნველყოფს ჭეშმარიტი დემოკრატია. ჭეშმარიტი დემოკრატია განუყოფელია პოლიტიკური თავისუფლებისაგან და ემყარება თავისუფალი და ფარული არჩევნებით გამოვლენილი უმრავლესობის მიერ მიღწეულ გააზრებულ, თავისუფალ და არგუმენტირებულ თანხმობას, და უმცირესობის თავისუფლებისა და შეხედულებების საათანადო პატივისცემას.

II

1. ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვა გარდუვალად იწვევს პოლიტიკური თავისუფლების აღკვეთას. ჩვენ უარვყოფთ ამგვარ შეზღუდვასა და კონტროლს, მიუხედავად იმისა, სახელმწიფო სექტორი განახორციელებს მას თუ კერძო სექტორი - მონოპოლიები, გაერთიანებები თუ ბანკები. ჩვენ ვაღიარებთ სახელმწიფოს უფლებამოსილებას მხოლოდ იმგვარ წარმოებაზე, რომელთა უზრუნველყოფა აღემატება კერძო საქმიანობის შესაძლებლობებს და რომლებშიც არ იჩენს თავს კონკურენცია.

2. საზოგადოების კეთილდღეობას უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს და დაცული უნდა იყოს ცალკეულ ეკონომიკურ უბანთა ინტერესების ზეგავლენისაგან.

3. არსებითი მნიშვნელობა აქვს სამუშაო და საცხოვრებელი პირობებისა და გარემოს გაუმჯობესებაზე ზრუნვას. შრომისა და კაპიტალის უფლებები, მოვაღეობები და ინტერესები ურთიერთდაკავშირებულია; წარმოების მაღალი დონისათვის აუცილებელია მეწარმეთა და მშრომელთა შორის ორგანიზებული ურთიერთკონსულტაცია და თანამშრომლობა.

III

თანადგომა არის თავისუფლების განუყოფელი ნაწილი და ყოველი უფლება გულისხმობს შესაბამის ვალდებულებას. თავისუფალი ინსტიტუტების ეფექტური მუშაობისათვის აუცილებელია, რომ ყოველ მოქალაქეს ჰქონდეს სხვებისადმი მორალური პასუხისმგებლობის გრძნობა და აქტიურად მონაწილეობდეს საზოგადოების საქმიანობაში.

IV

ომის თავიდან აცილება და საყოველთაო მშვიდობისა და ეკონომიკური აღმავლობის მიღწევა შესაძლებელი იქნება, თუ ყოველი ერი უზრუნველყოფს შემდეგ პირობებს:

ა/ მსოფლიო სისტემაში ყოველი დიდი თუ პატარა ერის უცილობელი მონაწილეობა ერთიდაიმავე კანონისა და თანასწორობის საფუძველზე, და ნებაყოფილობით ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა განუხრელი დაცვა;

ბ/ ყოველი ერის უზრუნველყოფა ისარგებლოს პიროვნების თავისუფლების არსებითი უფლებებით;

გ/ ეროვნულ უმცირესობათა ენის, რწმენის, კანონთა და ჩვეულებათა პატივისცემა;

დ/ ხალხებს შორის იდეების, ინფორმაციის, საქონლისა და მომსახურების თავისუფალი ურთიერთგაცვლა, ისევე როგორც უფლება, თავისუფლად იმოგზაუროს ნებისმიერ ქვეყანაში ან გაიაროს მის ტერიტორიაზე ყოველგვარი ცენზურის, პროტექციონისტული სავაჭრო ბარიერებისა და ურთიერთმიმოსვლის რეგულირების დაბრკოლებათა გარეშე;

ე/ მსოფლიოს ჩამორჩენილი მხარეების განვითარება ადგილობრივი მოსახლეობის თანამშრომლობის საფუძველზე როგორც მათი, ისე მთელი მსოფლიოს ინტერესების შესაბამისად.

მოვუწოდებთ ყოველ ქალსა და მამაკაცს, ვინც კი იზიარებს აღნიშნულ იდეალებსა და პრინციპებს, შემოგვიერთდნენ მთელს მსოფლიოში ამ ღირებულებათა დამკვიდრების მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემკვიდრეობა



მიზეილ (მიზაკო) ფერეთელი -

თვალსაჩინო ეროვნული მოღვაწე, მეცნიერი - დაიბადა 1878 წ. სოფ. ცხრუკვეში; დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია; განისწავლა ევროპის უნივერსიტეტებში; ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში მიენიჭა დოქტორის ხარისხი ასიროლოგიაში; ხელმძღვანელობდა ასიროლოგიისა და ძარცული ენის კათედრებს გრიუსელისა და ბერლინის უნივერსიტეტებში; 1914-1917 წწ. იყო "საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" წევრი; 1918 წ. საქართველოს დიპლომატიური დელეგაციის წევრი ბერლინში, 1919 წ. საქართველოს წარმომადგენელი სკანდინავიაში; გარდაიცვალა 1965 წ. მიუნხენში.

ოთხი ცნება

1. ნაციონალიზმი

რამდენია ისეთი განათლებული კაცი, რომ ნათლად და გარკვეულად არა აქვს წარმოდგენილი, თუ რას ემსახურება - შეიძლება ძლიერის გულწრფელობითა და ფანატიზმითაც კი! რამდენია ისეთი , რომ მთელ თავის ძალ-ღონესა, გონების ენერგიასა და ზნეობრივ ცეცხლა ჰხარჯავს ისეთი იდეალის განსახორციელებლად, რომელიც მას ვერ შეუგნია სავსებით, ვერ შეუკავშირებია იგი ლოგიკურად ბევრ არსებულ მოვლენასთან და ბევრ სხვა იდეალთან, რომელსაც შეიძლება მეტი სამართლიანობის საფუძველი ჰქონდეს, ვიდრე მის მიერ დასახულ იდეალს!

აიღეთ რომელიმე ცოტად თუ ბევრად განვითარებული საზოგადოება და დააკვირდით იქ მოქმედ გულ-წრფელ ჯგუფთა და პარტიათა, განიხილეთ მათი იდეალები და დარწმუნდებით, რომ ხშირად, ძლიერ ხშირად ადამიანები ერთს იდეალს ემსახურებიან და სახელი კი ამ იდეალისა სხვა არის, ან მეორე პარტიისათვის და ჯგუფისათვის ეს სახელი პირდაპირ საღანძღავია, მაშინ როდესაც, შეიძლება, შინაარსს რომ კარგად დაუკვირდენ და გაიგონ, თვითონაც აღიარონ იგი თავიანთ მისწრაფებათა სახელ-წოდებად. ხშირად აგრეთვე ადამიანები გულ-წრფელად, მაგრამ დაუფიქრებლად ძირს უთხრიან თავიანთსავე იდეალს თავიანთისავე მოქმედებით. კიდევ უფრო ხშირად ისეთ რამეს დაისახავენ ხოლმე იდეალად, რაიცა იდეალი კი აღარ არის არც სიკეთისა და არც შესაძლებლობის მხრივ, არამედ ოცნება და ძლიერ ცუდი ოცნებაც. არა იშვიათად მოხდება ხოლმე აგრეთვე, რომ ერთსა და იმავე იდეალს ადამიანები აღიარებენ სულ სხვა და სხვა პირობაში და მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ამა თუ იმ საზოგადოებაში აღმოცენებულ მოძრაობას ღრმა ადგილობრივი მიზეზები ჰქონდეს, ისინი სხვა საზოგადოებათა წაბაძვით უკვე არსებულ უცხოსაგან ნასესხებ ფორმებში აყალიბებენ ადგილობრივ ნიადაგზე ამოსულ მისწრაფებასა და ამით აფერხებენ, ხან და ხან შეუძლებელ ჰყოფენ მის ბუნებრივ ზრდას, - თვითონვე საფუძველს აცლიან თავიანთსავე იდეალს.

გარდა ამისა, კაცი, რომელსაც ღრმა ანალიზი არ შეუძლიან საზოგადოებრივ ცხოვრების მთელ ფორმისა და პროცესისა, ამოიღებს ხოლმე საზოგადოებრივ განწყობილებათა კომპლექსიდან ერთს განწყობილებას, თუ გინდ უმთავრესსაც მისს ანალიზზედ, მის შესაძლებელ ან სასურველ მომავალზე აშენებს მთელ თავის მოქმედებას, მის შესაძლებელ ან სასურველ ერთგვარად შეცვლის განხორციელებას ისახავს იდეალად, დამოუკიდებლად იმ სპეციალურ პირობათა, რომლებშიც იმყოფება მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობა, - და ამგვარად, ებმება საშინელ წინააღმდეგობაში, რომლისაგანაც მხოლოდ განუსაზღვრელის რწმენით, ან ფანტაზიით იხსნის ხოლმე თავს, - საქმეს კი ხშირად კიდეც ავნებს ხოლმე. რაც შეეხება იდეალისა და მოძღვრების სახელწოდებას, - მას ხომ ყოველთვის და ყველგან ისეთი ჯადოსნური ძალა და გავლენა აქვს, რომ ერთხელ წამოსროლილი ან გაზეპირებული თავის დღეში არ გამოვა უბრალო ადამიანის თავიდან, და რაც უნდა უმტკიცო, რომ ამ სიტყვას შეიძლება სხვა, უკეთესი შინაარსიც მივცეთ, ვიდრე მათ მთქმელთა ჰგონია, ძლიერ ცოტანი, შეგნებულნი თუ დაგვთანხმებიან მსჯელობაზე მხოლოდ, დაჯერებით-კი კიდევ უფრო ცოტანი დაგიჯერებენ.

მიუმატეთ ამას ჩვეულებრივი უპატივცემლობა და გაუგებრობა, აგრეთვე უზნეობის შეწამება და შიში ურთ-ერთის იდეალისა და მისწრაფებისა, და მაშინ ნათლად წარმოიდგენთ, თუ რატომ დადგება ხოლმე ყალყზე ამა თუ იმ სახელწოდების რწმენის მქონე ადამიანი, როდესაც მას სხვა სახელით მონათლავენ ხოლმე. ან თუ მიიღო ეს სახელწოდება და თავი არ სცნო შეურაცხყოფილად, - ძლიერ დიდი და გრძელი განმარტება დასჭირდება, მერწმუნეთ! მარამ ეს ხომ ძვირი მოვლენაა, და როდესაც ასეთ ანალიზს დაიწყებენ, როდესაც ღრმად განიხილავენ ხოლმე სხვა და სხვა მოძღვრებისა და რწმენის სახელების შინაარსს, როდესაც მათ ერთმანეთს შეადარებენ, მაშინ ბევრი რამ ირკვევა, იწმინდებიან და ნათდებიან თვით ცნებანი, ირკვევიან თვით იდეალნიც, და, რასაკვირველია, შეგნებულთა შორის ვნებათა ღელვაც ცოტათი სცხრება. ყოველივე ეს დიდ ცვლილებას ახდენს ხოლმე ადამიანთა გონებაში და ვნებაში, როდესაც ფართო საზოგადოებას სწვდება ამ ანალიზის ტალღა. ყოველ შემთხვევაში ეს კრიტიკული მუშაობა გონებისა ძლიერ დიდი პროგრესსია ფანატიკოსობასთანა და ცნებათა არევ-დარევასა და გაურკვევლობასთან შედარებით.

ნაციონალიზმი, ინტერნაციონალიზმი, შოვინიზმი და კოსმოპოლიტიზმი, აი ის ოთხი ცნება, რომელიც სრულიად არევ-დარეულია, გაურკვეველი და გაუგებარი ბევრ მიზეზის გამო, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ მათ კავშირი აქვთ ცნებათა სხვა კატეგორიის სერიასთანა: კაპიტალიზმთან, სოციალიზმთან, ანარქიზმთან და სხვასთან... ზემოხსენებული ოთხი ცნება, რასაკვირველია, განუვითარებელსა და პოლიტიკურად დამონებულ ერთა შორის გაცილებით უფრო გაურკვეველია, ვიდრე განვითარებულ ერთა და სახელმწიფოთა შორის, და ამიტომაც ჩვენ ვეცდებით მოკლედ, მაგრამ ნათლად გამოვსთქვათ ჩვენი აზრი ამ ცნებათა შესახებ, - თუ როგორ ესმით იგინი ჩვეულებრივად და როგორ უნდა გვესმოდეს ნამდვილად, - სამართლია - ნობისა, სხვა და სხვა იდეალის და აგრეთვე წმინდა სოციალურ სინამდვილის თვალსაზრისით.

ნაციონალიზმი წარმოსდგება, ეჭვს გარეშეა, სიტყვა ნაციისაგან. ნაციონალიზმი უწინარეს ყოვლისა ნიშნავს მისწრაფებათა იმ სისტემას, რომელიც ეხება მთელს ნაციას, მთელს ერს, განურჩევლად კლასისა, წოდებისა და სხვა. ამიტომაც ჰგონიათ, რომ იგი პირდაპირ წინააღმდეგი ცნებაა სოციალიზმისა, რომელიც კლასთა წინააღმდეგობას, კლასთა ბრძოლას უწევს ანგარიშს, მათ ანალიზზეა დამყარებული მთელი მოძღვრება. ნაციონალიზმი აგრეთვე უფრო მკაფიოდ იჩენს თავს, როგორც სოციალიზმის მოწინააღმდეგე ცნება, როდესაც ძლიერი სახელმწიფოს მქონე ერი, განსაკუთრებით ამ ერის გაბატონებული კლასები, რომელთაც ხელთ უპყრიათ ძალა-უფლება, - მეორე ერის ან მეორე სახელმწიფოს დაჩაგვრასა და განადგურებასა სცდილობს, და ამით, რასაკვირველია, ერთის მხრით სოციალისტურ იდეალთა მატარებელ მწარმოებელთა კლასს ავნებს, მეორე მხრით არღვევს თვით პრინციპს ინტერნაციონალიზმისას, რომელიც დამატებაა სოციალიზმის იდეალისა, - თანასწორობისა და მშვიდობიანობის იდეალისა. ამიტომაც ჰგონიათ, რომ ნაციონალიზმი თავის თავად არის მოწინააღმდეგე ცნება სოციალიზმისა, მაშასადამე, მოწინააღმდეგე ერთა შორის მშვიდობიანობისა და თანასწორობის ცნებისა. მაგრამ ეს ასე პირველის შეხედვითა ჩანს თუ კი კარგად განვსაზღვრეთ ცნებანი და აღვნიშნეთ ის განსაკუთრებული პირობანი, როდესაც ერთი კლასსის რომელიმე ჯგუფი ირქმევდა ნაციონალისტის სახელ; მაშინვე დავრწმუნდებით, რომ სულ სხვა ჯურის ცნებაა ნაციონალიზმი, სულ სხვა-და-სხვანაირი შეიძლება რომ იყოს იგი ამა თუ იმ პირობის მიხედვით, სულ სხვა უნდა იყოს იგი, თუ სერიოზულად და მიუკერძოებლად გავსინჯავთ მისს შინაარსს.

თუ ნაციონალიზმი წარმომდგარია ნაციიდან, უეჭველია, რომ აუცილებლად თვით ეს ნაცია უნდა განვსაზღვროთ ჯერ, რომ შემდეგ ნაციონალიზმის შინაარსზე ვიქონიოთ ნათელი წარმოდგენა. მაგრამ ნაციის ცნების დაწვრილებითი ანალიზი ჩვენ აქ არ შეგვიძლიან, ამას მთელი შრომა დასჭირდება. აქ ვიტყვით მხოლოდ მოკლედ ამ საგნის შესახებ.

ჩვენის აზრით, ყოვლად შეუძლებელია ნაყოფიერი მსჯელობა ვიქონიოთ ნაციაზე , სახელმწიფოზე, კაცობრიობაზე და ყველა მათგან წარმომდგარ ცნებაზე, თუ წინდაწინ არა გვაქვს გათვალისწინებული ცნება "სოციალურისა", რადგანაც ყველა მათგანს ჩვენ ვიხილავთ ხოლმე ყოველთვის ამ სოციალურის თვალთა-ხედვით. ეს სოციალური თვალთა - ხედვა ჩვენთვის აუცილებელია, მხოლოდ ხან ვსცდილობთ ხოლმე დავიჭიროთ ხელში სოციალური საზომი, ხან კიდევ ბუნდოვნად გათვალისწინებულ საზომს ვგულისხმობთ, იგი მხოლოდ წარმოდგენაში გვაქვს, თუმცა წინდაწინ მასზე მსჯელობა არა გვქონია. რასაკვირველია, პირველი მეთოდი აზროვნებისა ყოველთვის უფრო ნაყოფიერია, მეორე კი ხშირად მიზეზია მრავალ შეცდომისა და ბუნდოვან თეორიათა შექმნისა, რომელთაც ან არა ვითარი მნიშვნელობა არა აქვთ პრაქტიკულ მოქმედებისათვის, ან და საშინელი ვნება მოაქვთ პრაქტიკულ მოქმედების დროსა.

ჩვენის აზრით, ცნება სოციალურისა განსაზღვრეს საუკეთესოდ შტამღერმა, დეგრეფმა, ფულიემ, ვორმსმა და მათმა მსგავსებმა, კონტრაქტუალისტ-ორგანიცისტთა სკოლამ ერთი მხრით, მეორე მხრით ნეო-კანტისტ იურისტებმა, რომელთა ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი შტამღერია. ჩვენ აქ არც ამ ანალიზთა ისტორიასა და კრიტიკას შევუდგებით.

ავილოთ, მაგალითად, შტამღერის განსაზღვრა "სოციალურისა", შტამღერის განსაზღვრა საზოგადოებისა.

მისი აზრით, საზოგადოება არის ისეთი შეერთება ადამიანთა, რომელთა საერთო მოქმედება სხვა და სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად- გარეგნულად არის მოწესრიგებული. ეს მოწესრიგება არის სოციალური ფაქტი. ამ მოწესრიგების სფეროში აღმოცენდებიან ხოლმე და ვითარდებიან საზოგადოებრივი მოვლენანი. როგორიც უნდა იყოს საზოგადოება - მარტივი თუ რთული, პატარა თუ დიდი, პირველ-ყოფილი კომუნა, ძველებური ქალაქი, საშუალო საუკუნეს კომუნა, თუ თანამედროვე სახელმწიფო ან ერი - სულ ერთია, მათ საზოგადოებრიობას ყოველთვის დაახასიათებს ეს ძირითადი ნიშანი, - გარეგნული მოწესრიგება. სისტემა მომწესრიგებელ ნორმათა საფუძვლად უდევს მთელ საზოგადოებას, - იგი საერთო ფორმაა სოციალურ ცხოვრებისა, დამოუკიდებელი მისი რომელიმე კერძო, კონკრეტული ფორმისაგან. მოსაწესრიგებელი საგანი კი, ესე იგი დაკმაყოფილება მოთხოვნილებათა განსაზღვრული წესით, მატერიაა საზოგადოებრივ ცხოვრებისა - საგანი, რომელსაც იხილავს ეკონომიის მეცნიერება. ამიტომაც, შტამღერის აზრით, სოციალურ ფილოსოფიის საგანი არის ამ იურიდიულ-ეკონომიურ მოვლენათა კვლევა, ანუ სოციალურ-ეკონომიურ მოვლენათა კვლევა. რომელიმე სახელმწიფო ანუ განსაზღვრული ჯგუფი ადამიანთა, რომელიც ემორჩილება განსაზღვრულ უფლებისა და განსაზღვრულ კონვენციონალურ ნორმებს, არის საზოგადოება, კონკრეტული სოციალური არსი. ცხადია ამიტომ, რომ თვით ნაციაც, რომელსაც აქვს სახელმწიფო ფორმა თავის სოციალურ არსებობისა, არის ერთი კონკრეტული საზოგადოება.

მაგრამ თუ შტამღერივით არ შევხედეთ მთელ სოციალურ სტრუქტურას, როგორც ერთ სოციალურ-ეკონომიურ ნორმათა ქსოვილს, არამედ თუ მივიღეთ მხედველობაში ყველა სოციალური მოვლენა, მაშინ კიდევ უფრო ნათლად წარმოგვიდგება თვით არსება ერისა. სოციოლოგები სოციალურ მოვლენათა მრავალ კლასსიფიკაციას ადგანან მეცნიერებაში. დეგრეფი, მაგალითად, ასეთ კლასსიფიკაციის მომხრეა: ეკონომიური მოვლენანი, გენეზიური /განმრავლებისა/, არტისტიული, მეცნიერებისა და რწმენისა , ზნეობრივი, იურიდიული და პოლიტიკური. ყველა ეს მოვლენა აუცილებლად არის ყოველ საზოგადოებაში ან განვითარებული სახით, ან შთანაჩენის სახითა. გარეშე საზოგადოებისა, ე.ი. კონტრაქტისა ანუ გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრებისა, კი ყოველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუძლებელია ეს მოვლენანი წარმოვიდგინოთ. შეუძლებელია აგრეთვე ენა გარეშე საზოგადოებრივი ცხოვრებისა. მაშასადამე ყველა ეს მოვლენაც დახასიათდება ერთგვარ გარეგნულ მოწესრიგებით,როგორც სოციალური მოვლენა. და მართლაც, ყოვლად შეუძლებელია წარმოიდგინოს კაცმა მოუწესრიგებელი ენა, მოუწესრიგებელი რელიგიური კულტი,ან ზნეობის სისტემა, ან მეცნიერება, ან ხელოვნება ან სხვა რომელიმე სოციალური მოვლენა. მოუწესრიგებლად მათ არ ექნებოდათ სოციალური ხასიათი,იგინი სულაც არ იქნებოდნენ, რადგანაც იგინი ნაყოფნი არიან ადამიანთა საერთო ცხოვრებისა, მოქმედებისა,აზრისა და გრძნობისა.

მაშასადამე, საზოგადოება ყოფილა ერთი დიდი და რთული გარეგნული მოწესრიგება ადამიანთა ორგანულ საერთო ცხოვრებისა.

ამ მხრით კი სულ ერთია, ექნება თუ არა ერს სახელმწიფოებრივი ფორმა სოციალურ ცხოვრებისა, თუ იგი სხვა სახელმწიფოსაგან იქნება შთანთქმული. ერს თუ აქვს თავისი ენა,რწმენა,მეცნიერება, ზნეობა და სხვა,ე.ი. ამდენ მოვლენათა მოწესრიგება,- კიდევაც რომ წართმეული ჰქონდეს იურიდიული და პოლიტიკური საკუთარი მოწესრიგების უფლება,- იგი მაინც ერთი საზოგადოებაა, რადგანაც მას ყოველთვის შეუძლიან ამ დაკარგულ მოვლენათა აღდგენა და წარმოშობაც. ამას ამტკიცებს თვით ისტორია ჩაგრულ ერთა განთავისუფლებისა და საკუთარ სახელმწიფოთა დაარსებისა. ამაზედაა დამყარებული ის ნაციონალისტური მოძრაობა ერის ცხოვრებაში, რომელიც სულ სხვა სფეროში ტრიალებს, ვიდრე მოძრაობა სოციალისტური, და რომელიც შეუგნებელთა აზრით რაღაც ბურჟუაზიულად და სამარცხვინოთ არის აღიარებული.

დე-გრეფისა და ბევრ სხვა სოციოლოგის თეორიით,- საზოგადოება, როგორც მთელი რამ, არის აგრეთვე ორგანიზმი, რადგანაც მას აქვს თავისი ორგანოები და ფუნქციები. რასაკვირველია, სპენსერისა, შეფლესა და სხვათა ორგანიციზმი არ არის ჭეშმარიტება, მარამ თუ ორგანიზმთა რაციონალური კლასიფიკაცია მოვახდინეთ, თუ სოციალური ორგანიზმი იდენტურად არ აღვიარეთ ცხოველთა ორგანიზმებთან, არმედ განვსაზღვრეთ მისი სპეციალური ხასიათი კონტ/რ/აქტითა, ან გარეგნულის მოწესრიგებით, მაშინ ჩვენის აზრით, ორგანიციზმი ჭეშმარიტებასთან ძლიერ ახლო იქნება და საზოგადოებაც წარმოგვიდგება, როგორც კონტრაქტუალისტური ორგანიზმი, ანუ ადამიანთა საერთო და მოწესრიგებული მოქმედება, რომელიც სრულდება განსაკუთრებული ორგანოებით,- ეკონომიკურითა, იურიდიულითა, რელიგიურითა და სხვა. აგრეთვე, როგორიც უნდა იყოს საზოგადოება, დიდი თუ პატარა, რთული თუ მარტივი - სულ ერთია, მას აქვს ეს ორგანოები, ან მათი შთანაჩენები. ერი ამიტომაც არი ერთი სრული სოციალური ორგანიზმი,როგორც ერთი კონკრეტული საზოგადოება , თავის ორგანოთა და ფუნქციათა მქონე. შეიძლება მას წართმეული ჰქონდეს რამდენიმე ორგანო, მაგრამ დანარჩენები მაინც აქვს, თუ იგი სრულიად არ არის გამქრალი და გადაგვარებული.

ჩვენ აქ არ შევუდგებით ერის წარმოშობის ისტორიის მოთხრობასა. აქ ჩვენთვის ის არის საგულისხმიერო,რომ ერს აქვს სოციალური შინაარსი; იგი განიზომება "სოციალურის" ცნების საზომითა, მაშინ როდესაც ამ თვალთახედვით კაცობრიობა არც კი არსებობს, იგი ფიქციაა, რადგანაც ის მიღიარდნახევარი ადამიანი, რომელიც სცხოვრობს დედამიწაზე, სრულიადაც არ წარმოადგენს ერთს მოწესრიგებულ საზოგადოებას, - არა აქვს ერთი ენა, ერთი იურიდიული ნორმები, ერთი ეკონომიკა, ერთი ზნეობა, ერთი რელიგია და სხვა, - იგი არ არის ერთი სოციალური ორგანიზმი.

ამ გვარად, ერი ერთად-ერთი ფორმა კი არ არის საზოგადოებრივობისა,არამედ მისი ერთი ჭურჭელთაგანია, შეიძლება ყველაზე უფრო მკვიდრი და საინტერესო. თანამედროვე კონკრეტულ ორგანიზმებს კაცობრიობის უკულტუროსნეს ნაწილებში ერის ფორმა აქვსთ. ერის ცხოვრება არის სოციალური ცხოვრება ადამიანთა, რომელნიც ეკუთვნიან ერთ რასას, ან რომელშიაც ერთი რასა სჭარბობს და სხვები შეუთვისებია და გარდაუქმნია თავის მსგავსად. საერთო ენა, შეიძლება რელიგია და პოლიტიკა, ზნე-ჩვეულება, თვითშეგნება, რომელიც განვი არებულია ხანგრძლივი და რთული საერთო მოწესრიგებული მოქმედებითა,- ერთი სიტყვით ფართო საერთო სოციალური ცხოვრება,- აი რა მოუწყვიათ ხოლმე ისტორიის ჟამთა ვითარებაში განსაზღვრულ ტერიტორიაზე სხვა და სხვა ეთნიურ ელემენტს, და ამ მოქმედებიდან გამოსულა ერი, თვით-შემგნები სოციალური სუპერ-ორგანიზმი.

თუ არსებობს მონადები - არსებობს ნაციონალური მონადაც. ერის მონადობასა ჰქმნის საკუთარი ენა, მუსიკა, ხელოვნება, ხასიათი, ინდივიდუალური და სოციალური თავისებურობა. ერი - სოციოლოგიური სინამდვილეა.

აი, რა არის ერი, ნაცია, და თუ უწინარეს ყოვლისა ნაციონალიზმი არის მთელი სისტემა იმ მისწრაფებათა მოძღვრებისა, რომელიც ერს შეეხება, - მაგალითად, იცავს ერის ინტერესებს სხვა ეროვნულ ორგანიზმთა შემოსევისაგან ან შინაურ სოციალურ ცხოვრების გაუმჯობესებას ჰქადაგებს, - მაშინ ნაციონალისტი ყველა ყოფილა, - სოციალისტი და არა სოციალისტი, ანარქისტი და ბურჟუა, ყველა პატიოსანი მოღვაწე და იდეალის მქონე, როგორიც უნდა იყოს მისი მსოფლმხედველობა. იგი არ შეიძლება სხვა რამ იყოს, ვიდრე ნაციონალისტი, რადგანაც შეუძლებელია თავის ერის წინააღმდეგ შეგნებული მოქმედება; ან მოღალატე უნდა იყოს,თავისი ერის მტერი ადამიანი, ანდა შეუგნებლად მომქმედი. და თუ ხანდახან სიტყვა ნაციონალისტი საგინებლად ხდება ხოლმე, ამისი მიზეზი ან ის არის, რომ ერთ ერის მთავრობას ან კლასს თავისი ერის სასარგებლოდ ან ერთი კლასის სასარგებლოდ უნდა მოსპოს მთელი ერი, და მაშინ პირველის ნაციონალიზმი მეორეს თვალთახედვით ნაციონალიზმი კი არა, არამედ კაცი-ჭამიობაა და იგი მას თავის საკუთარ ნაციონალიზმს უყენებს წინ, - ნაციონალიზმს, რომელიც საგინებელი აღარ არის ყველა პატიოსანის აზრით, როგორც ბურების ნაციონალიზმს არავინ აგინებდა, ან და ასეთ ნაციონალისტებს შინაურ სოციალურ ცხოვრებაში ბრძოლა აქვთ სხვა პარტიებთან, მაგალითად, სოციალისტებთან, რომელთა ჭკვიანი წარმომადგენელნიც თავიანთ ერის არსებობას კი არა ჰყოფენ უარს,არამედ, სხვათა შორის, სხვა ერის დაჩაგვრას აღუდგებიან წინ, უსამართლო ნაციონალიზმს წინ უყენებენ საერთო ნაციონალიზმს, ყველა ნაციათა შეთანხმებულ ნაციონალიზმს,- ინტერნაციონალიზმს . აქ კი უკვე ამ ცნებათა ანალიზი სხვა ხასიათს იღებს. ნაციონალიზმი,როგორც საერთო ცნება, კეთილშობილდება და სდგება საერთაშორისო სამართლიანობის საფუძველზე. მისი ცალკე ფორმების ხასიათიც, როგორც საგინებელთა და უსამართლოთა, ნათელყოფილია და ადამიანიც ნათლად ჰხედავს, რომ, მაგალითად, დევეტის ნაციონალიზმი და ჩემბერლენისა სულ სხვა და სხვა რამ არის.

კიდევ უფრო ხშირად იმ მოვლენას ვა მჩნევთ, რომ რომელიმე ერის შინაგან ცხოვრებაში ორი სახელწოდების პარტია ვერ შეთანხმებულა ერის შინაგან წყობილების შეცვლის შესახებ; სოციალისტს თავისი იდეალი აქვს, ნაციონალისტს თავისი, მაგრამ ორივეს იდეალი შეეხება ერთსა და იგივე ერს, რომელსაც არც ერთი არ უარ-ჰყოფს. მათი უთანხმოება აბსტრაქტულ ფორმულათა განხორციელებას შეეხება რომელიმე ერის ცხოვრებაში, და არა პრინციპიალურ საკითხს სოციალიზმისა და ნაციონალიზმისას, რომელნიც სულ სხვა და სხვა სფეროში ტრიალებენ და რომელთა შესახებ კამათს ყოველთვის უფრო აკადემიური ხასიათი აქვს. მაგრამ ეს განვითარებულ საზოგადოებაში. განუვითარებელში კი, როგორც ჩვენში, თვით ერის არსებობის საკითხიც კი ისე სწყდება ხოლმე, რომ მის უარ-ყოფამ - დის მიდიან სოციალიზმის სახელით.

ან აიღეთ დაჩაგრულ ერთა ისტორია და მათი განთავისუფლების სულის ჩამდგმელი ნაციონალიზმი. აქ ერი იბრძვის სწორედ სხვის უსამართლო ნაციონალიზმის წინააღმდეგ, მას სურს აღადგინოს თავისი საზოგადოებრივობის დათრგუნვილი ორგანოები, მას სურს დასდგეს ერად სხვა ერთა შორის,- მისი ნაციონალიზმი სწორედ საერთო ნაციონალიზმია, ნამდვილი და სამართლიანი, იგი სწორედ ინტერნაციონალიზმის პრინციპით არის გამართლებული,და აკი მას ყველა ტაშს უკრავს, - ყველა პატიოსანი სოციალისტი, ანარქისტი და სხვა, ყველა გულწრფელი ინტერნაციონალისტი, ვისაც ამ ცნების შინაარსი სწორედ ესმის! დიახ, გარიბალდისა და მენშიკოვის ნაციონალიზმი ერთი და იგივე არ არის!

ნაციონალიზმი, ზემოხსენებულის მიხედვით, არის მისწრაფება ერისა თავის ინდივიდუალობი შენახვისათვის, კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმის სიკვდილისაგან დაცვისათვის, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვის რა იდეალი აქვს ამ კონკრეტულ ორგანიზმში ცვლილებათა შეტანის შესახებ. ნაციონალიზმი არის სწავლა მთელის კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმის ცხოვრებისა, სოციალიზმია აბსტრაქტული ფორმულა საზოგადოების ერთგვარ ცვლილებისა. განვიმეორებთ , ისინი ორ სხვა სფეროში არიან. ერთი მეორეს არ ეწინააღმდეგება.ასეთი უნდა იყოს ნაციონალიზმის შინაარსი, სახელწოდების კი შიში არ უნდა გვქონდეს.

თვალსაზრისი

მამუკა წერეთელი

ეკონომიკური პრობლემები დამოუკიდებლობის გზაზე

საქართველოს სრული დამოუკიდებლობის საწინდარი მოქალაქეთა პირად თავისუფლებაზე, შესაძლებლობათა თანასწორობასა და კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ძლიერი მეურნეობაა. ქართველობის მნიშვნელოვან ნაწილს ეს გაცნობიერებული აქვს და, შესაძლებლობიდან გამომდინარე, იღწვის კიდევაც ასეთი მეურნეობისათვის საძირკველის ჩასაყრელად. მაგრამ ამ პროცესს სხვადასხვა გარემოება უშლის ხელს. იმპერიულ-უწყებრივ და ადგილობრივ საბჭოურ სტრუქტურებთან ერთად მათში "გამოზრდილი" საბჭოურად მოაზროვნე ადამიანები ჯერჯერობით გადაულახავ წინალობად გვევლინებიან თავისუფლების გზაზე. ასეთ ვითარებაში უმთავრეს ამოცანად არსებული სტრუქტურების რღვევა მიგვაჩნია, რაც კონსერვატულ ძალებს განაიარაღებს და მათთან ბრძოლას გააადვილებს. აღნიშნული სტრუქტურების ახალ სტრუქტურებში გადასვლა ურთულესი პროცესია როგორც პოლიტიკური თვალსაზრისით, ისე შესაძლ სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მიხედვითაც. ამიტომ აუცილებელია ამ გადასვლის განხორციელება მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკანონმდებლო პროგრამით.

გამომდინარე საქართველოში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციიდან, ზემოაღნიშნული პროცესი უნდა წარიმართოს სამ ძირითად ეტაპად. პირველი ეტაპი უნდა დაიწყოს დაუყონებლივ, ამჟამად მოქმედი უზენაესი საბჭოს მიერ ისეთი საკანონმდებლო აქტების მიღებით, რომლებიც დაიცავენ საქართველოს არსებული ეკონომიკური სტრუქტურების დამოუკიდებლობას საკავშირო სტრუქტურებთან მიმართებაში (აქ გასათვალისწინებელია საკავშირო უწყებრივი ქვეკანონების მიმართ შესაბამისი დამოკიდებულების საკანონმდებლო გამოხატვა), საფუძველს ჩაუყრიან სახელმწიფო საკუთრების სხვა ფორმებში გადასვლას, გააცხადებენ თავისუფალი მეწარმეობისა და კერძო საკუთრების, აგრეთვე სოციალური უფლებების დაცვის გარანტიებს. ამავე ეტაპზე უნდა შეიქმნას სპეციალური საპარლამენტო კომისია, რომელიც,მოწინავე ქართველი მეცნიერ-ეკონომისტებისა და მოწვეული ექსპერტების შემადგენლობით, შეიმუშავებს საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტრატეგიას და შესაბამის საკანონმდებლო აქტებს.

მეორე ეტაპი უნდა დაიწყოს მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ ჩამოყალიბებული პარლამენტის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე დეკლარირებით და საკავშირო ხელისუფლებასთან მოლაპარაკების დაწყებით ამ დეკლარაციის დე ფაქტოდ განხორციელებისათვის. ამ ეტაპზე უნდა მოხდეს ყველა საკავშირო ეკონომიკური სტრუქტურებიდან საფეხურებრივი, აღნიშნული მოლაპარაკებით განსაზღვრული, გამოსვლა. ამავე ეტაპზე უნდა შეიქმნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გარანტირებული მყარი სავალუტო სისტემა, რომლის საფუძველი ქართული ფული უნდა გახდეს. ეროვნული ბანკისა და ვალუტის, აგრეთვე სხვა თავისუფალი

(დასასრული მე-8 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნერილები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია და დასავლეთის ზოგიერთი მოწინავე ქვეყნის საკონსტიტუციო გამოცდილება

ვასილ ლაპიაშვილი

1921 წლის 21 თებერვალს, როდესაც რუსეთის საოკუპაციო მე-11 არმია თბილისს იყო მომდგარი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო, საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ - დამფუძნებელმა კრებამ - თავის მორიგ სხდომაზე მიიღო და დაამტკიცა ქვეყნის "ძირითადი კანონი" - კონსტიტუ ია. ეს იყო პირველი / და ჯერჯერობით უკანასკნელი / ეროვნული კონსტიტუცია, რომელიც წარმოადგენდა ქართული პოლიტიკური აზროვნების ორგანული განვითარებისა და ჩამოყალიბების ბუნებრივ შედეგს. დემოკრატიზმისა და ლიბერალიზმის პრინციპებზე დაფუძნებულ ამ სამართლებრივ დოკუმენტში სრულად იყო ასახული მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის პირველი ათწლეულის მოწინავე ქართველი საზოგადოების მსოფლმხედველობრივი პრინციპები და იმ დროისათვის არსებული ლიბერალურ-დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკური გამოცდილება. სწორედ ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციებს შორის.

სახელმწიფო სამართლის ძირითადი პრინციპების თანახმად კონსტიტუცია განიხილება როგორც სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ წყობას , მმართველობისა და სახელმწიფო მოწყობის ფორმებს და საზოგადოებაში პიროვნების სამართლებრივ მდგომარეობას . კონსტიტუციის ცნება ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქაში, თუმცა თვით ტერმინი ადრეულ პერიოდშიც გამოიყენებოდა. სახელმწიფო სამართლისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სპეციალისტები კონსტიტუციას განიხილავენ როგორც ხალხის საერთო ნების გამოხატულებას, ხალხისა, რომელიც ქმნის სახელმწიფოებრიობას საერთო მიზნების მისაღწევად. ამგვარად, კონსტიტუცია მიიჩნევა არა საკუთვრივ სახელმწიფოს, არამედ ამ სახელმწიფოს შემქმნელი ხალხის აქტად. როგორც მე-18 საუკუნის ცნობილი ამერიკელი მოაზროვნე თომას ფეინი წერდა, "კონსტიტუცია წინ უსწრებს სახელმწიფოს, ხოლო ეს უკანასკნელი კონსტიტუციის პროდუქტს წარმოადგენს".

ამჟამად მსოფლიოში 150 -ზე მეტი მოქმედი კონსტიტუციაა. ზოგიერთი მათგანი მიღებულია ასზე მეტი წლის წინათ და ღღეისათვის მეტნაკლებად მოდერნიზებული სახით მოქმედებს. მსოფლიოს უძველეს კონსტიტუციას აშშ -ის კონსტიტუცია წარმოადგენს. იგი არსებობის ორსაუკუნოვან ისტორიას ითვლის /მიღებულია 1787 წელს/. ამავე რიგს შეიძლება მიეკუთვნოს ნორვეგიის /1814 წ./, ბელგიის /1831 წ./, არგენტინის /1853 წ./, ლუქსემბურგის /1868 წ./, შვეიცარიის / 1874 წ. / და ე.წ. "პირველი ტალღის" / როგორც ხშირად უწოდებენ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ აქტიურ სამართალშემოქმედების პერიოდს/ კონსტიტუციები/ავსტრიის, ირლანდიის, ფინეთის, ავსტრალიის, მექსიკის და სხვა/. ბუნებრივია, ამავე ჯგუფს მიეკუთვნება 1921 წელს მიღებული საქართველოს კონსტიტუციაც /რომლის მოქმედებაც დროებით შეჩერებულ იქნა დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 17 მარტს/.

"ახალი თაობის" კონსტიტუციებს მიეკუთვნება საფრანგეთის (1946 წ.), იაპონიის (1947 წ.), იტალიის (1947 წ) გფრ-ის (1949 წ.), საბერძნეთის (1952 წ.) და ზოგიერთი სხვა ქვეყნის "ძირითადი კანონები".

უნდა აღინიშნოს, რომ გვიანდელი ხანის კონსტიტუციები, როგორც წესი, რთული სტრუქტურითა და შედარებით დიდი მოცულობით ხასიათდებიან, ვიდრე ადრეული პერიოდის ანალოგიური სამართლებრივი აქტები. თუ, მაგალითად, 1787 წლის აშშ-ს კონსტიტუცია შეიცავს 7 მუხლს /რომელიც 21 თავს შეადგენს/ და 26 მოქმედ შესწორებას, გერმანიის კონსტიტუცია შეიცავს 146 მუხლს, იტალიისა - 193 მუხლს, ხოლო პორტუგალიისა - 312 მუხლს. პირველი ქართული კონსტიტუცია 149 მუხლისაგან შედგებოდა.

კონსტიტუციების განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის დაუწერელი კონსტიტუცია, რომელიც ერთიანი დოკუმენტის სახით კი არ არსებობს, არამედ მრავალრიცხოვანი სამართლებრივი აქტების ჯამს შეადგენს. ამ ტიპის კონსტიტუციები მოქმედებს, აგრეთვე, ახალ ზელანდიაში, ლიბიაში, ისრაელში.

"დაუწერელი" კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, დღეს მოქმედ კონსტიტუციათა უმრავლესობა ერთიან დოკუმენტს წარმოადგენს; თუმცა ხშირად მათ დამატებული აქვთ კონსტიტუციური ხასიათის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციათა შემადგენელ ნაწილებად ითვლებიან, ინკორპორირებულნი არ არიან ძირითად ტექსტში. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ 1955 წლის " ფედერალური კონსტიტუციური კანონი ავსტრიის ნეიტრალიტეტის შესახებ".

როგორც უკვე ავღნიშნეთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია შედგება 149 მუხლისაგან, რომლებიც 17 თავად არიან დაჯგუფებული: ზოგადი დებულებანი, მოქალაქეობა, მოქალაქის უფლებანი, პარლამენტი, აღმასრულებელი ხელისუფლება, სასამართლო, სახელმწიფო თავდაცვა, ადგილობრივი თვითმმართველობა, ავტონომიური მმართველობა, სწავლა-განათლება და სკოლა, სოციალურ- ეკონომიური უფლებები, ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი, სახელმწიფო მოხელენი, სახელმწიფო და ეკლესია, კონსტიტუციის გადასინჯვა. კონსტიტუციას პრეამბულად წამძღვარებული აქვს 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლის ერთ-ერთ პუნქტში ნათქვამია: " ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი და დამოუკიდებელი სახელმწიფოა". უნდა აღინიშნოს, რომ ყველა დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუცია ამა თუ იმ ფორმით აცხადებს სახალხო სუვერენიტეტის პრინციპს. საყოველთაოდ ცნობილია აშშ-ს კონსტიტუციის პრეამბულა: "ჩვენ ამერიკის შეერთებული შტატების ხალხი... ვაცხადებთ და ვაფუძნებთ ამ კონსტიტუციას". იტალიის რესპუბლიკის კონსტიტუციის პირველ მუხლში წერია: "იტალია დემოკრატიული რესპუბლიკაა, რომელიც დაფუძნებულია შრომაზე. სუვერენიტეტი ეკუთვნის ხალხს, რომელიც ანხორციელებს მას კონსტიტუციის ფარგლებში". საქართველოს კონსტიტუციის პირველ მუხლში, სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპთან ერთად, ჩამოყალიბებულია სახელმწიფო წყობილების ფორმაც: "საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო. მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა".

დემოკრატიულ კონსტიტუციათა უმეტესობის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს ადამიანის პიროვნული თავისუფლების განმსაზღვრელი პრინციპების ერთობლიობა შეადგენს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კონსტიტუციის ძირითად ტექსტში სულ არ არის ნახსენები ეს თემა. აშშ-ს კონსტიტუციის თავდაპირველ ვარიანტში საერთოდ არ იყო სპეციალური მუხლი პიროვნების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შეტანილ იქნა მასში ათი შესწორება , რომელსაც ეწოდება "ბილი უფლებების შესახებ". ფრანგულ კონსტიტუციაში ადამიანთა უფლებების შესახებ ღაპარაკია მხოლოდ მის პრეამბულაში:"ფრანგი ხალხი საზეიმოდ აცხადებს თავის ერთგულებას ადამიანთა უფლებებისა და ეროვნული სუვერენიტეტის მიმართ, რომლებიც განსაზღვრულია 1798 წლის დეკლარაციით და დადასტურებულია და შევსებულია 1946 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში"... ეს პრინციპები შედარებით დეტალურად არის ჩამოყალიბებული "ახალი თაობის" კონსტიტუციებში რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში იქნა მიღებული. მით უფრო საამაყოა ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 1921 წელს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში მოქალაქის უფლებების განსაზღვრას დათმობილი აქვს 30 მუხლი (მე-16-დან 45-ე მუხლის ჩათვლით) და თავისი არსით კონსტიტუციის ეს თავი (მოქალაქის უფლებანი) ჭეშმარიტი დემოკრატიზმის მაღალ ნიმუშს წარმოადგენს. მე-16 და მე-17 მუხლებში ნათქვამია, რომ "მოქალაქენი კანონის წინაშე ყველანი თანასწორი არიან" და რომ "წოდებრივი განსხვავება არ არსებობს". მე-19 მუხლში დეკლარირებული სიკვდილით დასჯის გაუქმება თავის დროისათვის ფრიად ჰუმანურ აქტად წარმოგვიდგება, მითუმეტეს, რომ ბევრ ქვეყანაში ამჟამადაც არ არის გაუქმებული სასჯელის ეს უმკაცრესი ზომა. ამავე თავში განცხადებულია, რომ "არ შეიძლება შეპყრობილ ან სხვაფრივ თავისუფლებას მოკლებულ და პირადად გაჩხრეკილ იქნეს ვინმე, თუ არა სასამართლოს ან საგამომძიებლო ორგანოს დასაბუთებული გრძანების ძალით" (თავი 22). მოქალაქეთა უფლებანი მოიცავს ბინის შეუვალობას, მიმოწერის ხელშეუხებლობას, სინდისის თავისუფლებას; აკრძალულია მოქალაქის დევნა, პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო; 32-ე მუხლის თანახმად ყველას შეუძლია "სიტყვით, ბეჭდით ან სხვა რამ ლონისძიებით" თავისი აზრები გამოთქვას და გაავრცელოს "მთავრობის წინასწარ ნებადაურთავად". მეტად მრავლისმთქმელია 33-ე მუხლი: "საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მთავრობის ნებადაურთველად შეიკრიბნენ საჯაროთ და უიარაღოთ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ". საქართველოს კონსტიტუცია აკანონებს "ორივე სქესის მოქალაქეთა პოლიტიკურ სამოქალაქო და საოჯახო თანასწორობას; გონებრივი, სავაჭრო, სამეურნეო-სამრეწველო პროფესიის განვითარებას; პირადი და კოლექტიური პეტიციის, მუშათა გაფიცვების თავისუფლებას, და სხვა ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს პრინციპებს. ხაზგასმით გვინდა ავღნიშნოთ, რომ 1949 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ "ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში" განცხადებული მოქალაქეობრივი უფლებები თითქმის ისევე არის ჩამოყალიბებული, როგორც ამ დოკუმენტის მიღებამდე 28 წლით ადრე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში; ამ მხრივ მას ძნელად თუ მოეპოვება ანალოგი ადრეული პერიოდის კონსტიტუციებს შორის (გამონაკლისია შვეიცარიის კონსტიტუცია).

მოქალაქის უფლებათაგან ერთ-ერთი ძირითადია საარჩევნო უფლება, რომელიც როგორც ცნობილია, რეგულირდება სხვადასხვა სახის ცენზებით (შეზღუდვებით). ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში "ასაკობრივი" და " სქესობრივი" ცენზი საარჩევნო უფლების შეზღუდვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყო. საკმარისია ითქვას რომ მე-20 საუკუნის სამოციან წლებამდე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში "ასაკობრივი ცენზი" 21-25 წელს შეადგენდა, ხოლო "სქესობრივი ცენზი", რომლის თანახმადაც ქალთა სქესის წარმომადგენლებს უფლება არ ჰქონდათ არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ, გადაულახავ ბარიერს წარმოადგენდა მრავალი ათწლეულის მანძილზე. მაგალითად, ისეთ დემოკრატიულ ქვეყანაში, როგორიცაა საფრანგეთი, ქალებმა საარჩევნო უფლება მიიღეს 1944 წელს, ხოლო შვეიცარიაში - მხოლოდ 1971 წელს. ამ მხრივაც ნიშანდობლივია პირველი ქართული კონსტიტუცია, რომლის 46-ე მუხლის მიხედვით არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა ყოველ მოქალაქეს სქესის განურჩევლად, ვისაც 20 წელი შეუსრულდა.

როგორც წესი, ყველა დემოკრატიული კონსტიტუციით განცხადებულია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების ძი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რითადი პრინციპები. ამ მხრივ კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს აშშ-ს კონსტიტუცია, რომელშიც პირველად იქნა ჩამოყალიბებული სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად დაყოფის პრინციპი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაშიც ხელისუფლების დანაწილების ეს პრინციპი მკაფიოდ არის ასახული: "პარლამენტი გამოსცემს კანონსა, დეკრეტსა და დადგენილებას..." (მუხლი 53); "უმაღლესი მართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას" (მუხლი 66); "საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო- სენატი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი. სენატი მოვალეა: ა) თვალყური ადევნოს კანონის დაცვასა, და ბ) განაგოს სასამართლო ნაწილი, როგორც საკასაციო სასამართლომ" (მუხლი 76).

საქართველოს კონსტიტუციაში ცალკე თავად არის წარმოდგენილი მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, რაც იმ დროის კონსტიტუციებისათვის იშვიათი მოვლენა იყო და მხოლოდ ე.წ."მეორე თაობის" კონსტიტუციაშია დეტალურად ჩამოყალიბებული. ასევე მნიშვნელოვანია ეროვნულ უმცირესობათა უფლებების განმსაზღვრელი მუხლები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის პრინციპებზეა დამყარებული. მაგალითად, 129ე მუხლის თანახმად "არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარება,... ყველას აქვს უფლება სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა ენაზე". კონსტიტუციაში ცალკე თავი ეძღვნება სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას: "სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოუკიდებელნი არიან" (მუხლი 142) ; "არცერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა" (მუხლი 143). ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია" (მუხლი 146).

ამრიგად, მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის ფონზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის "ძირითადი კანონის" ზოგადი მიმოხილვაც კი ცხადყოფს, რომ პირველი ქართული კონსტიტუცია თავისი არსით სრულად პასუხობს თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში აღიარებულ სამართლებრივ ნორმებსა და დემოკრატიისა და ჰუმანიზმის ზოგად პრინციპებს.

ნიშანდობლივია ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრის რამსეი მაკდონალდის აზრი პირველი ქართული კონსტიტუციის შესახებ. "თუ ერმა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არ არის,- წერდა იგი, დამოუკიდებელ საქართველოში მოგზაურობის შემდეგ, გაზეთ " ნეიშენის " 1920 წლის 20 ოქტომბრის ნომერში,- თუ რომელიმე ერს ეკუთვნის თავისუფლება, ეს არის ქართველი ერი , რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტურულობა და პოლიტიკური სიმწიფე. მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღშენებლობას,- წერს შემდეგ მაკდონალდი,- და რაც იქ ვნახე, ვისურვებდი ასე მოწყობილი მენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში".

ჩვენი ღრმა რწმენით, მომავალი სუვერენული საქართველოს " ძირითად კანონად " სავსებით შესაძლებელია პირველი ეროვნული კონსტიტუციის გამოყენება, თუ მასში, დღევანდელობის მოთხოვნების გათვალისწინებით , მცირე კორექტივებს შევიტანთ.

სამოკავშირეო ხელშეკრულება თუ დამოუკიდებლობა?

ოზიციპ

ვასილ გოცირიძე

საბჭოთა იმპერიაში დღეისათვის მიმდინარე პროცესებს თუ გავადევნებთ თვალს, სრულიად აშკარად დავინახავთ, რომ საქმე გვაქვს იმპერიის დაშლის პროცესთან, კომუნისტური ტოტალიტარიზმის კრახთან, რასაც გარდუვალად უნდა მოჰყვეს იმპერიის შემადგენლობაში ძალით გაერთიანებული ერების მიერ თავისუფლების მოპოვება და სახელმწიფოებრიობის აღდგენა. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ იმპერიის სათავეში მყოფი ძალები ადვილად შეეგუებიან მოვლენების ამგვარ განვითარებას. მათ არსენალში, გარდა ტრადიციული, უხეშ სამხედრო ძალაზე დამყარებული, პოლიტიკისა, უკანასკნელ პერიოდში ახალი დემაგოგიური იარაღი გაჩნდა. ეს არის ახალი, სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების დაპირება, რაც "მოკავშირე რესპუბლიკებისათვის" უნდა დაგვირგვინდეს "ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების" დადებით "განახლებულ საბჭოთა ფედერაციაში", რომლიდანაც გამოსვლა, როგორც მათ მიაჩნიათ, აღარავის მოუნდება /განსაკუთრებით სსრკ-ის შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის გამოსვლის შესახებ ახალი კანონის მიღების შემდეგ/. განსაკუთრებით "ურჩებისათვის" კი /ბალტიისპირეთის ქვეყნები და,ალბათ, საქართველო/ შესაძლებელია "დიფერენცირებული მიდგომა", "მათი სუვერენიტეტის რეალური შინაარსით შევსება", რაც სსრკ-სა და ამ რესპუბლიკებს შორის ურთიერთობების "კონფედერაციულ საწყისებზე" მოწყობაში უნდა გამოიხატოს. თუ რას ნიშნავს "სუვერენიტეტის რეალური შინაარსით შევსება" და "კონფედერაციულ საწყისებზე ურთიერთობა" ჯერ არავის განუმარტავს. როგორც ჩანს, ამ დაპირებებზე უკეთესი იმპერიის მმართველმა ძალებმა ვერაფერი მოიფიქრეს.

რა შეფასება შეიძლება მიეცეს საბჭოთა კავშირთან "ახალი", "ხელსაყრელი" ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას? თავი დავანებოთ იმას, რომ "სუვერენიტეტი" და "ფედერაცია" ერთმანეთთან სრულიად შეუთავსებელი ცნებებია, რომ შემოთავაზებული კონფედერაცია სხვა არაფერი იქნება, თუ არა ოდნავ შენიღბული ფორმით კვლავ იმპერიული პოლიტიკის გაგრძელება, და უბრალოდ ჩვენს განვლილ ისტორიას გავადევნოთ თვალი. მითუმეტეს, რომ მისი ცოდნის გარეშე შეუძლებელია გავაცნობიეროთ აწმყო და შევიქმნათ სწორი წარმოდგენა სამომავლო განვითარების ტენდენციებზე. ალბათ, არც ის არის სადავო, რომ ერს, რომელსაც არ ახსოვს თავისი ისტორია, ერს, რომელიც სწორ დასკვნებს არ აკეთებს თავისი წარსულიდან არ ძალუძს სწორი ორიენტაცია აწმყოში. რაზე მეტყველებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობის თითქმის ორსაუკუნოვანი ისტორია? რა დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ? ალბათ , ერთმნიშვნელოვანი - რუსეთის მხრიდან /იქნებოდა ეს "მეფის" თუ " საბჭოთა" რუსეთი/ ყოველთვის ხორციელდებოდა პოლიტიკა, რომელიც ფაქტიურად მიმართული იყო ქართველი ერის სულიერი და ფიზიკური განადგურებისაკენ. ამ პოლიტიკას ჰქონდა აღმავალი და დაღმავალი ეტაპები; იგი ხან მკაცრი ხდებოდა, ხანაც შედარებით რბილი, მაგრამ თავისი არსი და ხასიათი არასოდეს შეუცვლია. არასოდეს შერიგებია იმპერიულ პოლიტიკას ქართველი ერი,რომელიც ხან აქტიური ბრძოლის გზას ადგა, ხანაც - პასიური.

არ შეცვლილა იმპერიის პოლიტიკა საქართველოს მიმართ დღესაც, როგორც არ შეცვლილა ქართველი ერის დამოკიდებულება ამ პოლიტიკის გამტარებელი ძალებისადმი. ამაზე თვალნათლივ მეტყველებს საქართველოში უკანასკნელ ხანებში განვითარებული მოვლენები და იმპერიის ცენტრიდან მართული აშკარა თუ ფარული პროვოკაციები,რომელთა ერთადერთი მიზანია შეაფერხოს /დროებით მაინც/ ქართველი ერი უზენაესი ნების აღსრულების გზაზე. სწორედ მსგავს კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ"ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებაც",რომლის მიზანსაც საზოგადოებრივი აზრის დეზორიენტაცია და იმის ილუზიის შექმნა წარმოადგენს, რომ "ერის სუვერენული უფლებების განხორციელება შესაძლებელი იქნება განახლებულ საბჭოთა ფედერაციაშიც". თუ ისევ ისტორიას გავიხსენებთ, საქართველოს ასეთი "სამოკავშირეო" ხელშეკრულება რუსეთთან რამოდენიმეჯერ აქვს დადებული, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირობებში, როგორც სამეფოსა თუ როგორც რესპუბლიკას, შედეგი კი ყოველთვის ერთი იყო - ოკუპაცია და ანექსია. არ შეიძლება ერმა ერთი შეცდომა რამოდენიმეჯერ გაიმეოროს. საკუთარი ისტორიიდან სწორი დასკვნების გამოტანა უნდა შევძლოთ.

ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, კონფედერაციაზე, ასოციაციაზე, "საერთო ბაზარზე" და ა.შ. ლაპარაკი და ფიქრი შესაძლებელი გახდება მხოლოდდა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც საქართველო სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას აღიდგენს. დამოუკიდებელი საქართველო, მას შემდეგ რაც იგი სრულფასოვანი საერთაშორისო სამართალსუბიექტი გახდება, თავისი კანონიერად არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით, გამოხატავს თავის ნებას და თავადვე გადაწყვეტს - დასდოს თუ არა სამოკავშირეო თუ სხვა ხასიათის ხელშეკრულება. ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ რუსეთის მმართველი ძალები სწორად შეაფასებენ იმპერიის რღვევის სრულიადბუნებრივსა და პოზიტიურ პროცესს და ერთხელ და სამუდამოდ უარს იტყვიან თავიანთი იმპერიული პოლიტიკის გატარებაზე.

ჩვენი უპირველესი საფიქრალი სახელმწიფოებრიობის აღდგენაა და არა "ხელსაყრელი" სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებაზე ზრუნვა. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად უნდა მივმართოთ მთელი ჩვენი ძალისხმევა, ამ მიზანს უნდა დავუმორჩილოთ ჩვენი გონებრივი თუ ფიზიკური ენერგია.

მოვლენათა ქრონიკა

შიმშილობის აქცია

როგორც ცნობილია,ა.წ.31 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხუთმა სტუდენტმა გამოაცხადა უვადო შიმშილობა საქართველოს უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის მოწვევისა და მის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების მოთხოვნით. მოშიმშილეთა კონკრეტული მოთხოვნების თანახმად, უზენაესმა საბჭომ არაკანონიერად და ბათილად უნდა ცნოს 1921 წ.16 თებერვალს საქართველოს სსრ გამოცხადება და 1921 წ.21 მარტის დეკრეტით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების დათხოვნა;ამასთან ერთად,არაუგვიანეს ა.წ.ოქტომბრის თვისა უნდა დანიშნოს მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები,რისთვისაც აუცილებელია ამავე სესიაზე მიღებულ იქნას კანონები პოლიტიკურ პარტიათა და არჩევნების შესახებ.

შიმშილობის აქციამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელ საქართველოში;პოლიტიკურმა თუ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა აქტიურად დაუჭირეს მხარი სტუდენტთა მოთხოვნებს;სოლიდარობის ნიშნად თბილისში და რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში შიმშილობის აქციები დაიწყეს "მრგვალი მაგიდის" წევრი-ორგანიზაციებისა და სახალხო ფრონტის წარმომადგენლებმა.

სრული თანადგომა გამოუცხადეს უნივერსიტეტელ მოშიმშილეებს საქართველოს მწვანეთა პარტიამ, საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალურმა პარტიამ, საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიულმა ეროვნულმა პარტიამ და საზოგადოება "დას"-მა. ამ პოლიტიკური ორგანიზაციების რამდენიმე წევრმა ა.წ. 7 ივნისიდან შიმშილობა დაიწყო მუშთაიდის პარკში მდებარე მწვანეთა მოძრაობის რეზიდენციასთან. მუშთაიდის პარკში მიმდინარე შიმშილობის აქციაში მონაწილეობდნენ: რეზო შავიშვილი ("დასი"), გოგიტა ქერქაძე, კოტე ანდრიაძე, თენგიზ მამალაძე (რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია), დათო ბაშალეიშვილი, მიხეილ ჭკუასელი (მწვანეთა პარტია), გოგი გოგსაძე, ვასიკო ლაპიაშვილი, ვასიკო გოცირიძე (ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია).

სტუდენტთა პატრიოტულმა თავგანწირვამ და სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციებისა, საზოგადოებებისა თუ კერძო პირების აქტიურმა მხარდაჭერამ აიძულა ხელისუფლება დათმობაზე წასულიყო: 10 ივნისს გაიმართა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა,რომელმაც გადაწყვიტა რიგგარეშე სესიის მოწვევა მიმდინარე წლის 20 ივნისისათვის. ამავე დღეს ოფიციალურად გამოქვეყნდა რიგგარეშე სესიის მუშაობის დღის წესრიგის პროექტი,რომელშიც სრულად იქნა გათვალისწინებული მოშიმშილეთა მოთხოვნები (პროექტის შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს შიმშილობის აქციაში მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენლებმა). ამასთან ერთად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება უზენაეს საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო კომისიის შექმნის თაობაზე. მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ოპოზიციური ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. 10 ივნისს უნივერსიტეტის სტუდენტებმა და მათმა მხარდამჭერებმა შიმშილობა შეწყვიტეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიკური პრობლემები დამოუკიდებლობის გზაზე

(დასასრული)

საბაზრო სტრუქტურების – საფონდო და სხვა სახის ბირჟების, სააქციო საზოგადოებების, სადაზღვევო სისტემის და სხვ.– შექმნა–ამოქმედება ხელისუფლების უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს აღნიშნულ ეტაპზე. ამავე დროს აუცილებელია დაიწყოს საპარლამენტო კომისიის მიერ შემუშავებული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად მთელი მეურნეობის სტრუქტურული გარდაქმნა, რაც მხოლოდ სახელმწიფოს მხარდაჭერით შეიძლება განხორციელდეს.

მესამე ეტაპზე, რომელიც საქართველოს სრული დამოუკიდებლობის დე იურედ და დე ფაქტოდ გამოცხადებით დაიწყება, უნდა მოხდეს შემუშავებული სტრატეგიის რეალიზაცია საგადასახადო პოლიტიკით განსაზღვრულ წარმოებისა და მოხმარების ძირითად პროპორციებში, კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის წილობრივ თანაფარდობაში, წარმოების და, აქედან გამომდინარე, ექსპორტ–იმპორტის სტრუქტურაში და სხვა. ამით დასრულდება დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება; სისტემისა, რომელიც თავისთავად გულისხმობს სხვა ქვეყნებთან სამეურნეო ინტეგრაციის გარკვეულ დონეს.

ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება შედარებით დაწვრილებით შევჩერდეთ ეკონომიკური დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი ამ გზის პირველ, დღეისათვის ყველაზე აქტუალურ, ეტაპზე. ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე გადასაწყვეტია შემდეგი ძირითადი ამოცანები: ა) საკავშირო ხელისუფლების მიერ მიღებულ ეკონომიკურ საკანონმდებლო აქტებთან, აგრეთვე უწყებრივ ქვეკანონებთან საქართველოს ხელისუფლების და სამეურნეო სტრუქტურების მიმართების გამოხატვა; ბ) საპარლამენტო ეკონომიკური კომისიის შექმნა, რომელიც შეიმუშავებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას და მოამზადებს მისი განხორციელებისათვის აუცილებელ საკანონმდებლო აქტებს; გ) ისეთი საიჯარო და სხვა სახის საგადასახადო კანონმდებლობის მიღება, რომელიც სტიმულს მისცემს სასოფლო–სამეურნეო და სხვა სახის წარმოებას; დ) საქართველოს დამოუკიდებლობამდე სხვა რესპუბლიკების იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სამეურნეო და სხვა სახის ობიექტების გადაცემის ან მიყიდვის კანონით აკრძალვა; აგრეთვე ნედლეულის გატანაზე ორიენტირებული ერთობლივი და სხვა სახის საწარმოების მოქმედების შეჩერება, რაც დღევანდელი განუკითხაობის პირობებში საქართველოს ძარცვისაგან დაცვა იქნება.

ყველა ამ ამოცანის გადაჭრა საქართველოს უზენაესი საბჭოს და მის მიერ დანიშნული მთავრობის კომპეტენციაა, მაგრამ, როგორც წარსული გამოცდილება გვიჩვენებს, საზოგადოების აქტიური პოზიციის და ჩარევის გარეშე ეს პრობლემები არ გადაწყდება. სწორედ აქეთკენ უნდა იქნეს წარმართული მთელი ჩვენი ძალისხმევა.



საქართველოს ლიბერალურ–დემოკრატიული ეროვნული პარტია გულისფყრომასა და ალფფოთებას გამოთქვამს იმ არაადამიანური მოქმედების გამო, რასაც საბჭოთა იმპერიის ხელისუფალნი მიმართავენ გალტიისპირა ქვეყნებისა და, კერძოდ, ლიტვის ფინაალფდეგ, რომელმაც მიმდინარე ფლის 11 მარტს გამოაცხადა ოკუპაციის შედეგად დაკარგული სახელმფიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

იმპერიალისტური კრემლის მიერ გამოცხადებული ეკონომიკური ბლოკადა, პოლიტიკური და სამხედრო ზემოქმედება – ბის ფორმები ფეხქვეშ თელავენ არამარტო ერთა თვითგამორკვევის კუმანისტურ იდეალებს, არამედ საბჭოთა კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებსაც კი. ეს მოქმედება არ შეესაბამება არავითარ სამართლებრივ და ზნეობრივ ნორმებს, ფარმოადგენს დიდმპყრობელური და იმპერიალისტური ზრახვების უხეშ დემონსტრირებას.

საქართველოს ლიბერალურ–დემოკრატიული ეროვნული პარტია მუფდებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ეროვნული თავისუფლებისა და სახელმფიფებრივი დამოუკიდებლობის იდეა, ყოველნაირად დაუჭირონ მხარი გალტიისპირელი ხალხების ბრძოლას თავისუფლებისათვის. ამ ბრძოლის ფარმატებაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი სამშობლოს მომავალი.

საქართველოს ლიბერალურ–დემოკრატიული ეროვნული პარტია.

ლიბერალური ინტერნაციონალი

Liberal International

ლიბერალური ინტერნაციონალი წარმოადგენს ასოციაციას, რომელშიც გაერთიანებულია ოცდაცამეტი ქვეყნის ორმოცდათორმეტი პარტია და პოლიტიდაჯგუფება. მიუხედავად იმისა, რომ კონტაქტები რიგ ლიბერალურ პარტიებს შორის ჯერ კიდევ 1823 წლიდან დაიწყო, ლიბერალური ინტერნაციონალი, როგორც ასოციაცია, ოფიციალურად დაფუძნდა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ევროპის ლიბერალური პარტიების წარმომადგენლები 1947 წელს შეიკრიბნენ ოქსფორდში და შეიმუშავეს ლიბერალური მანიფესტი. მეორე მანიფესტი გამოქვეყნდა 1967 წელს ლიბერალური ინტერნაციონალის ოცი წლისთავზე.

1970–იანი წლების დასაწყისიდან ლიბერალური ინტერნაციონალის შემადგენლობაში შევიდნენ არაევროპული ლიბერალური პარტიებიც. 1976 წლის მარტი ლიბერალური ინტერნაციონალის ცხოვრებაში შემოტრიალების წერტილი აღმოჩნდა იმის გამო, რომ მას გამოეყვნენ ევროპული ლიბერალური პარტიები და შექმნეს ევროპული თანამეგობრობა, რომელიც ძირითადად ძველი სამყაროს ქვეყნების საერთო ბაზრის საკითხების დამუშავებაზე გადაერთო.

იმის გამო, რომ არ მომხდარიყო ევროპული თანამეგობრობის საქმიანობის დუბლირება, ლიბერალურმა ინტერნაციონალმა, გააფართოვა რა თავისი მოქმედების არეალი, ნაწილობრივ . შეცვალა საპრგრამო დებულებანი და მიზნები,რომელმაც ასახვა ჰპოვა 1981 წლის დეკლარაციაში. დღესდღეობით ლიბერალური ინტერნაციონალი ძირითად მიზნად ისახავს:

1) განამტკიცოს ლიბერალური ინტერნაციონალის გავლენა, როგორც ლიბერალიზმის იდეათა ავანგარდისა;

2) დაეხმაროს ლიბერალებს იმ ქვეყნებში, სადაც ლიბერალიზმის იდეები იდევნება ან იზლუდება;

3) გაზარდოს ლიბერალური ინტერნაციონალის წევრთა რაოდენობა მის რიგებში, უმთავრესად, აზიის, ლათინური ამერიკის და სამხრეთ ევროპის ქვეყნების ლიბერალური პარტიების გაწევრიანების გზით.

ლიბერალური ინტერნაციონალი, იზრდება რა განვითარებადი ქვეყნების ლიბერალური პარტიების გაწევრიანების ხარჯზე, მჭიდრო კონტაქტებს ინარჩუნებს ევროპული ქვეყნების იმ პარტიებთან, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ლიბერალურ–დემოკრატიულ თანამეგობრობაში. გარდა ამისა, ლიბერალური ინტერნაციონალი დიდ ყურადღებას უთმობს განვითარებადი ქვეყნების წევრი–ორგანიზაციების მოღვაწეობას და უწევს მათ მნიშვნელოვან მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას.

ყურადღება !!!!